პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1980 წელი
შაბათი
27
სექტემბერი
№ 223
(17866)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რთველი-80

## სპორტსმენები — მევენახეებთან





[illegible] გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, როდესაც კახეთის რაიონებში სპორტსმენთა და კომიტეტის თანამშრომელთა ჯგუფი გაგზავნა მევენახეთა დასახმარებლად.

ძალზე გაუხარდათ ჩუმლაყელ მევენახეებს, თავიანთ ზვრებში ოლიმპიური ჩემპიონები მ. ჯუღელი, ქ. ლოსაბერიძე, შ. ხაბარელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. მინაშვილი და ქართული სპორტის სხვა, ძველი თუ ახალი თაობის წარმომადგენლები რომ იხილეს. ორმაგი ხალისით იშრომეს მკრეფავებმა.

იკრიფება ყურძენი, ივსება მარანი. ქვევრებში მალე ადუღდება მაჭარი. დღეისათვის ჩუმლაყელმა კოლმეურნეებმა უკვე მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 7000 ტონაზე მეტი ყურძენი. სრულდება სახელმწიფო გეგმა. ჩუმლაყელები ვალდებულების პირნათლად შესრულებას რომ უპატაკებენ დედასამშობლოს, ამაში ჩვენს [illegible]

სურათზე: ზემოთ — ქ. ლოსაბერიძე (მარცხნიდან მეორე) და მ. ჯუღელი (მარჯვნიდან მესამე) ჩუმლაყელ მევენახეებთან. ქვემოთ — ქ. ლოსაბერიძე როგორც სპორტში, ისე შრომაშიც სანიმუშოა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# ტრიბუნაზეა კომუნისტი

დიდხანს ეხსომებათ წლეულს ივლისში გამართული საქართველოს პარტიული აქტივის კრების მონაწილეებს ამირან გილაშვილის სიტყვა. მან, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა, შთამბეჭდავად და საინტერესოდ მოუთხრო დამსწრეთ, თუ რით აღწევენ ბრიგადაში საზრიან, ინიციატივიან მუშაობას, როგორ შეძლეს მეათე ხუთწლედის დამდეგიდან ერთიორად გაეზარდათ შრომის ნაყოფიერება, დიდად გაეუმჯობესებინათ პროდუქციის ხარისხი. აი თუნდაც ერთი ასეთი ფაქტი: თუ 1975 წელს ბრიგადა თვეში ელექტრომტაბელერების 36 კორპუსს უშვებდა, ახლა იმდენივე კაცი ოთხმოცდაათის გამოშვებასაც არ სჭირდება.

ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობის გამომხატველმა ამ სიტყვამ ბევრი ჩააფიქრა, ბევრს უბიძგა იმისაკენ, რომ შემოქმედებითად ეძიონ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების რეზერვები, გაბედულად აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, პირნათელი და ხელდამშვენებული შეეგებონ ჩვენი პარტიის მომავალ, XXVI ყრილობას.

ასეთი სასარგებლო და საყურადღებო გამოსვლები იშვიათი როდია. მათ ხშირად გაიგონებთ ჩვენი პირველადი პარტორგანიზაციების კრებების, პარტიული კომიტეტების პლენუმებისა და აქტივის კრებების ტრიბუნიდან.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში სულ უფრო მეტად მკვიდრდება საკითხების აქტიური, საქმიანი განხილვის სტილი. ამჟამად მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კამპანია თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ მეტწილ პარტორგანიზაციებში კომუნისტებს შესწევთ უნარი დროზე, კომპეტენტურად გადაწყვიტონ წამოჭრილი პრობლემები. სულ უფრო მეტი და მეტი მაგალითების მოყვანა შეიძლება, როცა კრებებზე კომუნისტთა გამოსვლებს სამეურნეო და კულტურული მნიშვნელობის აქტუალური ამოცანების პრაქტიკული განხორციელება მოჰყვება ხოლმე.

კომუნისტთა აქტიური პოზიცია ნათლად ვლინდება იმ ფაქტითაც, რომ უკვე გამართულ პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კამათში მონაწილეობა მიიღო დამსწრეთა 38,8 პროცენტმა. პარტიული ჯგუფების კრებებზე კომუნისტთა 75,2 პროცენტმა წარმოთქვა სიტყვა, ხოლო საამქრო პარტორგანიზაციათა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე — თითქმის ნახევარმა. პარტიულ ორგანიზაციათა მოღვაწეობის შედეგებს რომ აჯამებენ და მეურნეობის გაძღოლის, იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესების კონკრეტულ ამოცანებს რომ განსაზღვრავენ, კომუნისტები სრულად იყენებენ სკკპ წესდებით მინიჭებულ უფლებას — წინადადებანი შეიტანონ, კრიტიკული შენიშვნები გამოთქვან შრომითი კოლექტივების ცხოვრების ყველა საკითხზე.

ახლანდელმა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ ისიც ცხადყო, თუ რაოდენი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ პარტიული ბიუროები და კომიტეტები ამ კამპანიის მომზადებას, როგორ იზრუნეს, რომ ყოფილიყო აზრთა თავისუფალი, საქმიანი გაზიარება, კრიტიკული შენიშვნებისა და ყოველგვარი სასარგებლო წინადადებების პრაქტიკული მხარდაჭერა. მაღალორგანიზებულად, ნაკლოვანებათა გულახდილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი და რუსთავის მეტალურგიული ქარხნების პარტჯგუფებში, მაიაკოვსკის № 69 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის და სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

ცხადია, პარტიული კრებისათვის ყველა კომუნისტი უნდა ემზადებოდეს. კრების შემდეგ გული არ უნდა ეთანაღრებოდეს რომელიმეს, რომ რაღაც დარჩა დაფარული და უთქმელი. შეიძლება წინასწარ მოველაპარაკოთ, წავათამამოთ და ისინიც მოვიწვიოთ ტრიბუნასთან, ვინც გაუბედაობას იჩენს, არ მონაწილეობს კამათში. დასაგმობია „შტატიანი ორატორების" პრაქტიკა.

კომუნისტთა მოქმედების ხაზი დღეს ის უნდა იყოს, რომ ტრიბუნაზე იქნებიან თუ გაშლილ მინდორში, მშენებლობის ხარაჩოზე თუ სამეცნიერო ლაბორატორიაში, გასაგებად განუმარტონ მშრომელებს დასახული ამოცანები. პარტორგანიზაციათა მოვალეობაა მიაღწიონ, რომ პარტიის თითოეული ჯარისკაცი უჩვენებდეს მაღალი შეგნებისა და ორგანიზებულობის, ყველა უბანზე ნამდვილად მეურნის მიდგომის, საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ნიმუშს, ვ. ი. ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, „ყველაზე წინ იყოს შრომის დისციპლინითა და ენერგიით".

ამ ორგანიზებულობის, ამ ენერგიის ცეცხლი კომუნისტის სიტყვაშიც უნდა ენთოს და ელვარებდეს. ყოველ უბანზე თითოეული პარტიული ორგანიზაციის ძალა და გავლენა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სწორედ კომუნისტთა კონსტრუქციულ აზრებსა და საფუძვლიან ცოდნაზე, მათი წინადადების განხორციელების უნარზე.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც კომუნისტების აზრი გზას თავისუფლად მიიკვლევს და ხალისიანი ნაკადულივით მიედინება, სადაც ყველაფერი გაბედულად და პირ-პირ ითქმება, იქ ჯანსაღი, შემოქმედებითი მუშაობაც გაიშლება და ბოლოს კეთილი საქმეებითაც დათავთავდება.

„ჩემს პრაქტიკაში ვცდილობდი, — წერს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი „აღორძინებაში", — მხარი დამეჭირა მოაზროვნე, გაბედული, მოწინავე ადამიანებისათვის. ვიცოდი, რომ ეს ყოველთვის ერთიასად იქნებოდა ანაზღაურებული".

ვინ მოთვლის, რამდენი ნაკლი გასწორდა, რამდენ კარგ საქმეს მოება თავი ისეთი ჭეშმარიტად მოაზროვნე, გაბედული და პრინციპული კომუნისტების საჯარო გამოსვლებით, როგორებიც არიან თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირი გ. მეტონიძე, გაერთიანება „საქღვინომანქანის" ზეინკალი შ. ჯოხაძე, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის მექანიკური საამქროს ხარატი ვ. დოლიძე, აკადემიკოსი ა. ზურაბიშვილი, მწერალი გ. ფანჯიკიძე, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ნ. ვალიშვილი და სხვები.

ამბობენ, კაცი სანთელივით სხვას გზას უნდა უნათებდესო. და თუ ეს ზოგადად არის თქმული, კომუნისტისათვის წინსვლისაკენ გზების ძიება, სხვათა მოთავეობა და მეგზურობა საწესდებო მოთხოვნად არის ქცეული. კომუნისტი ყველაფრისთვის პასუხისმგებელია. მას არ შეუძლია მშვიდად იყოს, ხმა არ ამოიღოს, როცა ბევრგან აუმოქმედებელი აქვთ რეზერვები, როცა ნელი ტემპით ითვისებენ სიმძლავრეებს, უყაირათოდ ხარჯავენ ნედლეულსა და სხვა მასალებს, ეფექტიანად ვერ იყენებენ მანქანა-დანადგარებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, იჩენენ ბიუროკრატიულობას და აჭიანურებენ საქმეს. კვლავაც უმკაცრესი ბრძოლაა საჭირო კერძომესაკუთრული ტენდენციების, მომხვეჭელობის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

ერთი სიტყვით, როცა ათასი საზრუნავ-გასაკეთებელი და ბევრი ამოსაძირკვი გვაქვს, გულგრილობა, უთქმელობა, ინერტულობა, მართლაც რომ, დანაშაულია.

ვ. ი. ლენინი მუდამ მოითხოვდა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გამოყენებას, რადგანაც სწორედ საქმისადმი ასეთი მიდგომა გამოხატავს განვითარების რევოლუციურ ხასიათს, ჩვენი საზოგადოების ბუნებას. პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა საქმის არსში ჩაწვდომისა და მისი ობიექტურ, პარტიულ საფუძველზე გადაწყვეტის, შეცდომების, არაკომპეტენტურობის, სუბიექტივიზმის ელემენტების დაძლევის საშუალებას იძლევა.

რა თქმა უნდა, კრებებზე თუ თათბირებზე უნდა ითქვას მიღწეულზეც. საჭიროა კარგი გამოცდილება განვაზოგადოთ და ფართოდაც გავავრცელოთ. მაგრამ არ უნდა დავკარგოთ ზომიერების გრძნობა. დასამალი როდია, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არიან მლიქვნელები, თავდრეკიები, რომ ზოგი ორატორი ტრიბუნას იყენებს ხელმძღვანელთა საქებლად. რა საჭიროა ბაქიბუქობა და გადამეტებული ეპითეთები! აი როგორ არის ჩაწერილი გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ავტოსატრაქტორო პარკის პარტორგანიზაციის კრების ოქმში ერთ-ერთი გამომსვლის გამო: „...ილაპარაკა პარტორგანიზაციის მდივნის მიერ შეტანილ იმ გრანდიოზულ წვლილზე..." სინამდვილეში კი ამ ორგანიზაციაში სულაც არ ჩანს მდივნის „გრანდიოზული წვლილი", რადგან როგორც ორგანიზაციულ, ისე აღმზრდელობით მუშაობაში ჯერაც ბევრი ნაკლია.

არცთუ იშვიათად მოგვისმენია ისეთი გამოსვლა, როცა ერთი წინადადებაც კი არ მიჰკარებია ჩვენს გონებასა და გულს, ერთი ძარღვიც კი არ ატოკებულა ჩვენს სახეზე, არც რა საქმეს შემატებია მისით. ფუჭი ქაქანი, უშინაარსო დეკლამაცია ზოგან მოდად იქცა, ისახავს მხოლოდ იმ მიზანს, რომ გამომსვლელთა რაოდენობაში ჩაითვალოს.

სამწუხაროდ, ხშირად ხდება, როცა კამათის მონაწილენი გვერდს უვლიან ეგრეთ წოდებულ მწვავე პრობლემებს, იმის ნაცვლად, რომ ნაკლი ამხილონ და გამოაშზეურონ, არწყენინების პოლიტიკას ადგანან. სწორედ ასე მოიქცნენ ცხინვალის რაიონის დმენისის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის კომუნისტები, რომლებმაც, თითქოს პირში წყალი ჩაიგუბესო, თავიანთი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე არაფერი თქვეს შრომის უხეირო დისციპლინაზე, მისი გაუმჯობესების რაიმე საშუალებაზე. არადა, სწორედ ამ ბრიგადიდან ზოგი სკკპ წევრიც კი ადრე გაზაფხულიდანვე წავიდა რესპუბლიკის გარეთ სამუშაოდ და დღესაც, როცა ესოდენ ჭირს სოფლად მუშახელი, მათ თითი თითზე არ დაუკარებიათ მშობლიური კოლმეურნეობის სასიკეთოდ.

ასევე ბევრ რამეზე დახუჭეს თვალი და ნამდვილი სათქმელი არ თქვეს ამასწინანდელ კრებაზე კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის დაფქვის საამქროს პარტიული ჯგუფის კომუნისტებმა. მაშინ, როცა მათს საამქროში მრავალი ნაკლია, არც მომხსენებლის და არც კამათის მონაწილეთა სიტყვებში არ გამოჩნდა წუხილი იმის გამო, რომ გაეზარდათ შრომითი კოლექტივის წევრთა პასუხისმგებლობა, როგორ აემაღლებინათ პროდუქციის ხარისხი, წარმოების კულტურის დონე.

საერთოდ კი, როგორც ეს მრავალჯერ თქმულა, კრების მთელ ატმოსფეროს, კამათის ხასიათს დიდად განსაზღვრავს თვითონ მოხსენება, მისი ტონი. აი, რატომ არის, რომ ამ დოკუმენტს მუდამ და ყველგან განსაკუთრებული გულმოდგინებით, ყურადღებითა და სიფრთხილით უნდა ადგენდნენ.

ტრიბუნაზეა კომუნისტი... რაოდენ პასუხსაგებია, მაგრამ აუცილებელი და საჭიროა მისი სიტყვა, რომელიც განუყოფელი უნდა იყოს როგორც გაკეთებულ, ისე ახალ საქმეებთან. სწორედ ეს მუდამ უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც პარტიული კრების ტრიბუნაზე ადის. დღეს კომუნისტის ყოველი წარმოთქმული სიტყვა, მისი აზრი, წინადადება ხუთწლედის წარმატებით შესრულებას უნდა ემსახურებოდეს.

## ლექტორები გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობამ მოაწყვეს რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა თანამედროვე ეტაპზე ორი იდეოლოგიის ბრძოლის თავისებურებებს. თათბირ-სემინარში მონაწილეობდნენ პარტიული კომიტეტების და რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის" ლექტორები.

„ანტიკომუნიზმი იმპერიალიზმის მთავარი იდეურ-პოლიტიკური იარაღია" — ასეთი იყო თემა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ლ. ა. ალექსიძის გამოსვლისა. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ძირითად მიმართულებებზე ილაპარაკა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ე. ი. კოდუამ. „იდეოლოგიური დივერსიები და საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლების ამოცანები" — ამ თემას მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. შ. მაისურაძემ, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა დ. ვ. გეგეშიძემ გააკეთა მოხსენება „იდეოლოგიური ბრძოლა და რელიგია".

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ლექციური პროპაგანდის გამოცდილება. (საქინფორმი).

## საქდესის ცნობა



# საერთაშორისო ეკიპაჟის ფრენა წარმატებით დამთავრდა

### კოსმონავტები იური რომანენკო და არნალდო ტამაიო მენდესი დედამიწაზე დაბრუნდნენ

1980 წლის 26 სექტემბერს მოსკოვის დროით 18 საათსა და 54 წუთზე „სალუტ-6"-„სოიუზ-37"-„სოიუზ-38" ორბიტული კომპლექსის ბორტზე ერთობლივი კვლევისა და ექსპერიმენტების პროგრამის წარმატებით შესრულების შემდეგ საერთაშორისო ეკიპაჟი — საბჭოთა კავშირის გმირი სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი იური რომანენკო და მკვლევარი კოსმონავტი კუბის რესპუბლიკის მოქალაქე არნალდო ტამაიო მენდესი დედამიწაზე დაბრუნდნენ. „სალუტ-6" სადგურზე მუშაობას განაგრძობენ კოსმონავტები ამხანაგები პოპოვი და რიუმინი.

„სოიუზ-38" კოსმოსური ხომალდის დასაშვები აპარატი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში დაჯდა ქალაქ ჯეზყაზღანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 175 კილომეტრზე.

ამხანაგები რომანენკო და ტამაიო მენდესი დედამიწაზე დაშვების შემდეგ თავს კარგად გრძნობენ.

„სალუტ-6"-„სოიუზ-37"-„სოიუზ-38" ორბიტული კომპლექსით შვიდი დღის ფრენის განმავლობაში ამხანაგებმა პოპოვმა, რიუმინმა, რომანენკომ და ტამაიო მენდესმა წარმატებით შეასრულეს მეცნიერულ-ტექნიკური კვლევისა და ექსპერიმენტების დაგეგმილი პროგრამა, რომელიც ერთად მოამზადეს საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის მეცნიერებმა.

კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამით მიღებულია სხვადასხვა ნახევარგამტარი მასალის კრისტალები. უწონობის პირობებში პირველად განხორციელდა ორგანული ნაერთების მონოკრისტალების გამოზრდის ექსპერიმენტი.

ბუნებრივი რესურსების კვლევისა და გარემოს შესწავლის პროგრამის ფარგლებში კოსმონავტებმა მოაწყვეს დედამიწის ზედაპირისა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიის დაკვირვება და ფოტოგრაფირება. ეკიპაჟი განაგრძობდა აგრეთვე მთელ რიგ გეოფიზიკურ ექსპერიმენტებს, რომლებიც „სალუტ-6" სადგურზე მუშაობისას დაიწყეს წინა საერთაშორისო ეკიპაჟებმა, საბჭოთა კავშირში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბულგარეთში დამზადებული აპარატურის გამოყენებით.

სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის პროცესში მიღებულია ახალი მონაცემები ადამიანის ორგანიზმსა და ბიოლოგიური ობიექტების განვითარებაზე კოსმოსური ფრენის ფაქტორების გავლენის შესახებ.

საერთაშორისო ეკიპაჟის წარმატებით დამთავრებულმა ფრენამ, რომელშიც მონაწილეობდა კუბელი კოსმონავტი — დასავლეთი ნახევარსფეროს სოციალისტური სახელმწიფოს პირველი წარმომადგენელი — ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ხალხთა შორის სულ უფრო ფართოვდება მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა, მტკიცდება ძმური ურთიერთობა.

1978 წლის მარტ-1980 წლის სექტემბერში „სოიუზ" საბჭოთა კოსმოსური ხომალდებითა და „სალუტ-6" ორბიტული სადგურით კოსმოსურ სივრცეში იფრინეს შვიდი სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქეებმა. საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა მიერ ერთობლივად შემუშავებული მეცნიერულ-ტექნიკური კვლევის ფართო პროგრამის შესრულების შედეგად მიღებულია დიდი მოცულობის ინფორმაცია, რომელიც სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის გამოიყენება.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### საბჭოთა კავშირის გმირის სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ამხ. ი. ვ. რომანენკოს ლენინის ორდენითა და „ოქროს ვარსკვლავის" მეორე მედლით დაჯილდოების შესახებ

„სალუტ-6"-„სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის საბჭოთა კავშირის გმირი სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ამხ. იური ვიქტორის ძე რომანენკო დაჯილდოვდეს ლენინის ორდენითა და „ოქროს ვარსკვლავის" მეორე მედლით.

საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ი. ვ. რომანენკოს გმირობის აღსანიშნავად დაიდგას ბრინჯაოს ბიუსტი გმირის სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 26 სექტემბერი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### კუბის რესპუბლიკის მოქალაქის მკვლევარი კოსმონავტის არნალდო ტამაიო მენდესისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

„სალუტ-6"-„სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის" მედალი კუბის რესპუბლიკის მოქალაქეს მკვლევარ კოსმონავტს არნალდო ტამაიო მენდესს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 26 სექტემბერი.

# ზვრების ბარაქა

ყურძნის დამზადების 1980 წლის გეგმა-ვალდებულების შესრულება (ტონობით)




მევინეობის სამრეწველო გაერთიანების „სამტრესტის" 26 სექტემბრის ცნობა

| რაიონები | გეგმა-ვალდებულება | შესრულება | 25 სექტემბრის მიღება |
|---|---|---|---|
| გურჯაანის | 150.000 | 102,389 | 6.245 |
| თელავის | 95.000 | 49.555 | 4.528 |
| ყვარლის | 80.000 | 41.913 | 3.357 |
| სიღნაღის | 65.000 | 50.269 | 3.244 |
| ახმეტის | 60.000 | 19.316 | 2.343 |
| წითელწყაროს | 50.000 | 41.090 | 1.552 |
| საგარეჯოს | 40.000 | 8.000 | 1.287 |
| ლაგოდეხის | 20.000 | 7.923 | 894 |
| მარნეულის | 22.000 | 18.023 | 1.601 |
| გარდაბნის | 10.500 | 2.837 | 381 |
| ბოლნისის | 16.000 | 11.178 | 499 |
| თეთრი წყაროს | 3.000 | 90 | 40 |
| მცხეთის | 15.000 | 40 | — |
| ზესტაფონის | 30.000 | 352 | 22 |
| თერჯოლის | 25.000 | 250 | — |
| მაიაკოვსკის | 20.000 | 61 | — |
| ვანის | 20.000 | 57 | — |
| ორჯონიკიძის | 7.000 | 109 | 4 |

კახეთში მოკრეფილია 320.455 ტონა ყურძენი. 25 სექტემბერს რესპუბლიკაში მოიკრიფა 25.997 ტონა.

რესპუბლიკაში 26 სექტემბრისათვის სულ მოკრეფილია 353.454 ტონა, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 107.129 ტონით მეტი.

ზონალურ თათბირებზე ქართლისა და დასავლეთ საქართველოს მევენახეებმა საყრილობოდ ყურძნის დამზადების ახალი ვალდებულებები იკისრეს:

გარდაბნის რაიონი სახელმწიფოს მიჰყიდის 10.500 ტონა ყურძენს, მარნეულისა — 22.000, ბოლნისისა — 16.000, თეთრი წყაროსი — 3.000, მცხეთისა — 15.000, დუშეთისა — 2.800, კასპისა — 10.000, გორისა — 5.000, ხაშურისა — 6.200, ახალციხისა — 500, ქარელისა — 450, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი — 800, ორჯონიკიძის რაიონი — 7.000, ზესტაფონისა — 30.000, ჭიათურისა — 2.100 თერჯოლისა — 25.000, საჩხერის — 7.000, სამტრედიისა — 2.500, წყალტუბოსი — 4.000, წულუკიძისა — 800, ტყიბულისა — 500, მაიაკოვსკისა — 20.000, ვანისა — 20.000, ჩოხატაურისა — 3.700, მახარაძისა — 800, ლანჩხუთისა — 160, გეგეჭკორისა — 2.500, ცხაკაიასი — 1.200, ჩხოროწყუსი — 1.100, ზუგდიდისა — 2.000, წალენჯიხისა — 800, ამბროლაურისა — 3.700, ონისა — 300, ცაგერისა — 5.700, აფხაზეთის ასსრ — 10.000, აჭარის ასსრ — 1.900 ტონას.

## მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში

ბუშეტი თელავის რაიონში ერთ-ერთი პატარა სოფელია, იგი 500-მდე კომლს ითვლის, მაგრამ ამ პატარა სოფლის მშრომელებს არაერთხელ გამოუჩენიათ თავი დიდი საქმეებით. ასეა ამჯერადაც, — ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს! — ამ დევიზით დაიწყეს მეათე ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წელი აქაურმა მევენახეებმა. მათ წლევანდელი გეგმით 1.800 ტონა ყურძენი უნდა ეწარმოებინათ, მაგრამ საყრილობო შრომით ვახტზე მტკიცედ გადაწყვიტეს სამშობლოს მარანში თავიანთ წილად საზოგადოებრივი მეურნეობიდან 2.200 ტონა ყურძენი მიიტანონ.

ბუშეტელ კოლმეურნეებს მეათე ხუთწლედში დავალებული ჰქონდათ 7.050 ტონა ყურძენი მოეწიათ, მათ ეს დავალება წლევანდელი რთვლის პირველ დღეებშივე შეასრულეს, მათგან სახელმწიფოს უკვე მიღებული აქვს 7.550 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ყურძენი. ბუშეტლები ახლა ყურძენს მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში კრეფენ. მათი ახალი ვალდებულებაა წელს მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში 1.500 ტონაზე მეტი ყურძენი მოკრიფონ. ამისათვის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება, ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანაში ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ ის ბრიგადები, რომლებსაც ნიკო რაზმაძე, ვანო ღვინიაშვილი, ოთარ ზაალიშვილი და ალექსანდრე გომურაშვილი თავკაცობენ.

ბუშეტელი მევენახენი რომ პირნათელნი შეხვდებიან ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდ ფორუმს, ამის უტყუარ გარანტიას მევენახეების ფირუზ მათიაშვილის, შალვა ლილუაშვილის, მარგო აბესაძის, სონია შიუკაშვილის, ეთერ და ნინა ბოჭორიშვილების, ნუნუ ღვინიაშვილის და სხვათა თავდადებული შრომა იძლევა.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

## ყურძენი საკარმიდამოდან

ყვარელი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ყურძნის დამზადების გეგმის შესრულებაში. ახლა საკარმიდამო ვენახებიდან დიდძალ ყურძენს აბარებენ მევენახეები. გავაზელმა შ. მაჭიშვილმა 6 ტონა ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს, ახალსოფლელებმა ნ. ბიბილაშვილმა — 4,5 ტონა, შ. პართენიშვილმა — 3,7 ტონა, მ. კურტანიძემ — 3,1 ტონა, ჰიკაანელმა დ. დაუდიშვილმა — 3,2 ტონა.

ტიბაანელმა პენსიონერმა კოლმეურნემ მ. ათანელაშვილმა ვალდებულება იკისრა საკარმიდამო ვენახიდან მოკრიფოს და სახელმწიფოს მიჰყიდოს 8 ტონა ყურძენი. მის თაოსნობას ბევრი გამოეხმაურა და საქმით დაუჭირა მხარი.

ერთ-ერთი მათგანია ანაგელი ა. ბეჟიაშვილი. მან საკუთარ ვენახში მოკრიფა და სახელმწიფოს მიჰყიდა 10 ტონა ყურძენი.

ამდენივე ყურძენი მოკრიფა და სახელმწიფო მარანში მიიტანა სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის ავტომძღოლმა ი. ჩერქეზიშვილმა.

## სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანება

1980 წლის 27 სექტემბერი № 254 ქ. მოსკოვი

### 1980 წლის ოქტომბერ-დეკემბერში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან დაწესებული ვადის სამსახურგავლილი სამხედრო მოსამსახურეების დათხოვნისა და ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა მორიგი გაწვევის შესახებ

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების" შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ვბრძანებ:

1. საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების რიგებიდან დათხოვნილ იქნენ თადარიგში 1980 წლის ოქტომბერ-დეკემბერში სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადა გაუდით 1981 წლის 1 იანვრამდე.

2. თადარიგში სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნასთან დაკავშირებით, ამ ბრძანების 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების რიგებში ნამდვილი სამხედრო სამსახურისათვის გაწვეულ იქნენ მოქალაქენი, რომლებსაც გაწვევის დღისათვის უსრულდებათ 18 წელი და არა აქვთ გაწვევისაგან გადავადების უფლება, აგრეთვე უფროსი გასაწვევი ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც გაუვიდათ გაწვევის გადავადება.

3. ბრძანება გამოცხადდეს ყველა ასეულში, ბატარეაში, ესკადრილიაში და ხომალდზე.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. უსტინოვი.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### ამხ. გ. ნ. ენუქიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გურამ ნიკოლოზის ძე ენუქიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 26 სექტემბერი.

## პროპაგანდისტთა დასახმარებლად

**კიდევ რამდენიმე დღე და დაიწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. მსმენელები და პროპაგანდისტები ჩვეული ენთუზიაზმით და გულისყურით შეუდგებიან პოლიტიკური და ეკონომიკური ცოდნის მწვერვალების დალაშქვრას. პირველი მეცადინეობის თემა იქნება „ლენინური კომუნისტური პარტია ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება, სინდისია“.**

**ამასთან დაკავშირებით ვბეჭდავთ სტატიას, რომელიც დაეხმარება პროპაგანდისტებსა და მსმენელებს აღნიშნული თემის დამუშავებასა და შესწავლაში.**

*თეორიის საკითხები*

# პარტია ჩვენს ეპოქაში

**1917 წლის** 6 სექტემბერს გაზეთ „პროლეტარში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „პოლიტიკური შანტაჟი“ ლენინმა მკაცრად ამხილა ბურჟუაზიის პოლიტიკური შანტაჟისტები, რომლებიც ცილს სწამებდნენ ბოლშევიკების პარტიას, და მტკიცედ განაცხადა: „ჩვენ ვენდობით ჩვენს პარტიას. ჩვენ მასში ვხედავთ ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებას და სინდისს“.

ეს ცნობილი სიტყვები, რომლებმაც მსოფლიო აღიარება პოვა, ვ. ი. ლენინმა ოქტომბრის რევოლუციის მზადების ქარიშხლიან დღეებში წარმოთქვა, მაგრამ მათში აისახა ჩვენი პარტიის მოღვაწეობის მთელი ისტორია.

ლენინური კომუნისტური პარტია რევოლუციური ბრძოლის სარბიელზე გამოვიდა მეოცე საუკუნის დამდეგს, როცა იმპერიალიზმის ეპოქა დადგა, როცა რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა და სოციალისტური რევოლუცია პრაქტიკულ ამოცანად იქცა.

ახლებურად დაისვა რევოლუციის ობიექტური წანამძღვრისა და სუბიექტური ფაქტორის თანაფარდობის პრობლემა, ახალი ტიპის რევოლუციურ-მარქსისტული პარტიის თეორიასა და პრაქტიკას, მის მაორგანიზებელ და გარდამქმნელ როლს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა.

ისტორიის ეს მოთხოვნა ლენინმა ასე გამოთქვა: მოგვეცით რევოლუციონერთა ორგანიზაცია და ჩვენ გადავაბრუნებთ რუსეთს. ცხოვრებამ დაადასტურა ლენინის წინასწარმეტყველება. ბოლშევიკების პარტიამ რევოლუციური პრაქტიკით დაარწმუნა მუშათა კლასი, მშრომელი მასები მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოლიტიკის სისწორეში და მისი დროშით განახორციელა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. ბოლშევიკების მეთაურობით მუშათა კლასმა ხელთ აიღო სახელმწიფოს მართვის სადავე და ახალი საზოგადოების მშენებლობას შეუდგა.

კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეპოქა დადგა. საჭირო გახდა მისი შინაარსის, თავისებურების, განვითარების მიმართულების გარკვევა, რათა „სწორად აგვეგო ჩვენი ტაქტიკა“. (ლენინი).

ლენინმა განსაზღვრა ეპოქის ზოგადი ცნება: და მოგვცა თანამედროვე ეპოქის თავისებურების საერთო მონახაზი. ეპოქის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ის გახლავთ, თუ რა ობიექტური შინაარსი აქვს ისტორიულ პროცესს მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში და რომელი კლასი წარმოადგენს პროგრესის მთავარ წარმმართველ ძალას.

ეპოქის ცნების ლენინურ გაგებას მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. მის საფუძველზე გაანალიზა პარტიამ ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი დროის ვითარება მსოფლიოში და ჩვენი ეპოქა ასე განსაზღვრა „თანამედროვე ეპოქა, რომლის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, არის ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლის ეპოქა, სოციალისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქა, იმპერიალიზმის მსხვრევის, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქა, სოციალიზმის გზაზე სულ ახალი ხალხების გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ეპოქა. თანამედროვე ეპოქის ცენტრში დგანან საერთაშორისო მუშათა კლასი და მისი მთავარი ქმნილება — სოციალიზმის მსოფლიო სისტემა“ (სკკპ პროგრამა).

ლენინი ეპოქას, ამ ცნების ვიწრო გაგებით, ფორმაციის ეტაპად თვლიდა. ამ სიტყვის ფართო აზრით კი ახალი ეპოქის წარმოშობას ოქტომბრის რევოლუციას უკავშირებდა და მას განიხილავდა როგორც მსოფლიო-ისტორიული ეპოქის დასაწყისს, ნახტომს, „გარდატეხას, მსოფლიო ისტორიის შემობრუნების თვალსაზრისით“, მუშათა კლასის ბატონობისა და კაპიტალისტური ფორმაციიდან კომუნისტურ ფორმაციაზე გადასვლის დასაბამს. ჩვენი ეპოქა გარდამავალი ეპოქაა, რომელიც საზოგადოების წინაისტორიიდან ნამდვილ ისტორიაზე გადასვლას ახორციელებს და იწყებს ახალ, კომუნისტურ ცივილიზაციას.

ეპოქა მრავალფეროვან მოვლენათა ჯამია, რომელიც მოიცავს როგორც ტიპობრივს, ისე არატიპობრივს. იმპერიალიზმი განაგრძობს არსებობას, მაგრამ მან დაკარგა ისტორიული ინიციატივა. კაპიტალიზმი უმომავლო, უპერსპექტივო საზოგადოებად იქცა. კაცობრიობის მაგისტრალურ გზას ზეამავალი სოციალური ძალები განსაზღვრავენ და საზოგადოების პროგრესის მოთხოვნებს გამოხატავენ.

თანამედროვე ეპოქამ გაზარდა მარქსისტულ-ლენინური პარტიის, როგორც ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის როლი და მნიშვნელობა. ეს განმათავისუფლებელი მოძრაობისა და კომუნისტური მშენებლობის ბუნებრივ-ისტორიული პროცესის დაჩქარებისა და გამარჯვების გადამწყვეტი პირობა გახდა. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების მიმართულებას და წარმართავს მასების რევოლუციურ-გარდამქმნელ შემეცნებით და პრაქტიკულ საქმიანობას.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა განსაზღვრეს პარტიის წარმოქმნის ისტორიული აუცილებლობა და მისი როლი განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მათ გვიჩვენეს, რომ საზოგადოებაში კლასთა ბრძოლა განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე პოლიტიკურ ბრძოლას წარმოშობს. პოლიტიკური ბრძოლა თავის მთლიან გამოხატულებას პარტიულ ბრძოლაში პოულობს.

კლასები სტიქიურად ყალიბდებიან, პარტიები კი იქმნებიან კლასობრივი თვითშეგნების შემუშავების შედეგად. პარტია რაზმავს კლასის მოწინავე, შეგნებულ ნაწილს, რომელიც თავისი კლასის ინტერესებს გამოხატავს იდეოლოგიასა და პოლიტიკაში. თვით სიტყვა პარტია მის კლასობრივ ხასიათზე მიუთითებს. იგი ლათინური წარმოშობისაა და ნაწილს ნიშნავს, პარტია კლასის ნაწილია, ნაწილი კი მოწინავე, ორგანიზებული, კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა.

პარტიის კლასობრივი ხასიათი და რევოლუციურ ბრძოლაში მისი ხელმძღვანელი როლი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა ასე განსაზღვრეს: „პარტიის გარეშე არ არის განვითარება, გამიჯვნის გარეშე არ არის პროგრესი“ (მარქსი); გამარჯვების პირობაა პარტია, რომელსაც „თავისი თავი შეგნებული აქვს, როგორც კლასის პარტიას“, (ენგელსი); „ძალაუფლებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატს სხვა იარაღი არ მოეპოვება, გარდა ორგანიზაციისა“. (ლენინი), რევოლუციურმა პრაქტიკამ სავსებით დაადასტურა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება მუშათა კლასის განმათავისუფლებელ მოძრაობაში კომუნისტური პარტიის გადამწყვეტი როლის შესახებ.

ლენინმა გააშუქა პარტიის კლასობრივი ბუნება და მისი კლასობრივი ბრძოლის საერთო-სახალხო ხასიათი. „ჩვენ კლასის პარტია ვართ“, — ამბობდა ლენინი და დასძენდა, ბოლშევიკების პარტია გამოხატავს არა მარტო მუშათა კლასის ინტერესებს, არამედ „მთელი საზოგადოების ინტერესებს“, რაც პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას საერთო-სახალხო, საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობას აძლევს; განვითარებული სოციალიზმის პირობებში, როცა მუშათა კლასისა და მისი პარტიის იდეოლოგია და პოლიტიკა მთელი საბჭოთა ხალხის იდეოლოგია და პოლიტიკა გახდა, კლასის პარტია მთელი ხალხის პარტიად იქცა. ამით მას არ დაუკარგავს კლასობრივი ხასიათი. იგი იყო და დარჩა მუშათა კლასის პარტიად. კომუნისტური პარტია მუშათა კლასის ისტორიულ მოწოდებას ახორციელებს.

ლენინმა გააშუქა პარტიის, კლასის, მასის ურთიერთობის საკითხი და გვიჩვენა, რომ კლასებს ხელმძღვანელობენ პოლიტიკური პარტიები, ხოლო მათ მართავენ ავტორიტეტული, გავლენიანი პირები, ბელადები, რომელთაც აქვთ საჭირო ცოდნა, გამოცდილება, პოლიტიკური ალღო.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ეპოქის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის, ერთგული მარქსისტ-ლენინელის, ჩვენი პარტიის მეთაურის ლ. ი. ბრეჟნევის შემოქმედებითს საქმიანობას საბჭოთა ქვეყნის განვითარების კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში.

კომუნისტური პარტია მეცნიერული კომუნიზმის პარტიაა. მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების შემოქმედებითი განვითარება და მასების რევოლუციურ-კომუნისტურ პრაქტიკასთან მისი ორგანული შერწყმა ჩვენი პარტიის ისტორიული საქმიანობის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია, პარტიის იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი შემოქმედებითი საქმიანობა აშუქებს თანამედროვეობის თეორიისა და პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებს, ამკვიდრებს მაღალიდეურობას, აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას და ამხელს ბურჟუაზიულ, რეფორმისტულ, რევიზიონისტურ, მაოისტურ იდეოლოგიურ კონცეფციებს.

კომუნისტურმა პარტიამ მოგვცა თანამედროვე იმპერიალიზმის მარქსისტულ-ლენინური ანალიზი და დაახასიათა მისი ახლანდელი თავისებურებანი. თანამედროვე იმპერიალიზმის თავისებურებას უმთავრესად ის განსაზღვრავს, რომ იგი ორი სისტემის ბრძოლის პირობებში იძულებულია შეეგუოს ახალ ვითარებას, გარკვეულ დათმობებზე წავიდეს, მიმართოს გარკვეულ რეფორმებს სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ. მაგრამ კაპიტალიზმის ბუნება არ შეცვლილა, სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი ემყარება წარმოების კაპიტალისტურ წარმოებას და დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას. კაპიტალიზმი განაგრძობს სიღატაკის ზრდას „სოციალური აზრით, ე. ი. იმ აზრით, რომ ხდება შეუსაბამობა ბურჟუაზიისა და მთელი საზოგადოების მოთხოვნილებათა მზარდ დონესა და მშრომელთა მასების ცხოვრების დონეს შორის“ (ლენინი), რაც იწვევს მუშათა კლასის, მშრომელი მასის შედარებითს, ხოლო ზოგჯერ აბსოლუტურ გაღატაკებას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში მიმდინარეობს კაპიტალიზმის სისტემის ქვეყნებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ინტეგრაციის პროცესი რეაქციული ფორმით, ამავე დროს კიდევ უფრო მწიფდება განვითარების უთანაბრობა და წინააღმდეგობა კაპიტალისტურ სამყაროში, იქმნება კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის მატერიალური, სოციალურ-პოლიტიკური წანამძღვრები.

მაგრამ ადამიანის ცნობიერების შეცვლა რთული, ხანგრძლივი, მრავალმხრივი და წინააღმდეგობრივი პროცესია, დასავლეთ ევროპის საზოგადოება ჯერ კიდევ გამსჭვალულია „ლეგალისტური, კონსტიტუციური, ბურჟუაზიული, დემოკრატიული ცრურწმენებით“. დიდი გავლენით სარგებლობს რეფორმიზმი, რომელიც მოქმედებს „ცივილიზებულად, დახვეწილად, დემოკრატიულად შელამაზებული ხერხებით.“ ეს მოითხოვს „კაპიტალიზმის ნიადაგზე მეტად ხანგრძლივ და მეტად შეუპოვარი ბრძოლის საჭიროებას“, და განაპირობებს დემოკრატიისათვის ბრძოლის მნიშვნელობას.

დემოკრატიისათვის ბრძოლა სოციალიზმისათვის ბრძოლის შემადგენელი ნაწილია. ამ გზით მუშათა კლასს ჯერ კიდევ კაპიტალიზმის დამხობამდე შეუძლია მიაღწიოს მშვიდობის დაცვას, ეროვნულ დამოუკიდებლობას, დემოკრატიულ უფლებათა განხორციელებას, ცხოვრების პირობების ერთგვარ გაუმჯობესებას.

პარტიის XXV ყრილობამ შეიმუშავა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შემდგომი ბრძოლის პროგრამა და მას განუხრელად ახორციელებს.

ამჟამად საერთაშორისო მდგომარეობა გართულდა. ამერიკის იმპერიალიზმის გააფთრებას იწვევს ის, რომ სოციალური რევოლუციები ხდება აზია-აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, მომძლავრდნენ სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნები, საბჭოთა კავშირი თავისი უშიშროებისათვის ზრუნავს და მხარს უჭერს განმათავისუფლებელ მოძრაობას, დასავლეთ ევროპის ქვეყნები თავიანთი ეროვნული ინტერესების დაცვას ესწრაფვიან და ა. შ. ამერიკის იმპერიალიზმი „ცივი ომის“ პოლიტიკას დაადგა და ჩვენი ქვეყნის „პოლიტიკურ იზოლაციას“ ცდილობს, იმპერიალიზმის აგრესიულობისა და ჩინეთის მმართველი წრეების ჰეგემონიზმის პარტნიორობა ახალ საშიშ მოვლენად იქცა მსოფლიო პოლიტიკაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, რომ სამოცდაათიან წლებში საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება და დაძაბულობის შენელება ძალთა თანაფარდობის, სამხედრო-სტრატეგიული წონასწორობის კანონზომიერი შედეგი და ისტორიული მნიშვნელობის მონაპოვარია და რომ „დაძაბულობის შენელებამ ღრმად გაიდგა ფესვები თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრებაში და არის რეალური წანამძღვრები, რათა შევინარჩუნოთ იგი, როგორც მსოფლიო პოლიტიკის გაბატონებული ტენდენცია“.

ლ. ი. ბრეჟნევმა ივნისის პლენუმზე განაცხადა: რომ „ჩვენ, კვლავაც ყველაფერს გავაკეთებთ, რათა შევინარჩუნოთ დაძაბულობის შენელება, ყოველივე ის სასიკეთო, რაც კი რამ 70-იანმა წლებმა მოგვცა, მივაღწიოთ განიარაღებისაკენ შემობრუნებას, მხარში ვედგეთ თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარებისათვის მებრძოლ ხალხებს, დავიცვათ და დავამკვიდროთ მშვიდობა“.

ლენინმა ჩამოაყალიბა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გეგმა, სოციალიზმის ლენინურ მეცნიერებას უკანასკნელ წლებში მუშათა მოძღვრება განვითარებული სოციალიზმის შესახებ, რომელმაც დასაბუთება პოვა ლ. ი. ბრეჟნევის შრომებში, პარტიულ დოკუმენტებში.

ლენინმა მიუთითა, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გზა ხანგრძლივი და მძიმე იქნება და რომ იგი გარდამავალ ეტაპებსა და სტადიებს გაივლის, ვიდრე შეიქმნებოდეს განვითარებული სოციალიზმი, რომელიც, ლ. ი. ბრეჟნევის დახასიათებით, სოციალისტური საზოგადოების სიმწიფის ის საფეხურია, ის სტადიაა, როცა „მთავრდება საზოგადოებრივი ურთიერთობების მთელი ერთობლიობის გარდაქმნა სოციალიზმისათვის შინაგანად დამახასიათებელ კოლექტივისტურ საწყისებზე“ და რომლის სრულყოფის კვალობაზე მიმდინარეობს „კომუნიზმში მისი თანდათანობით გადასვლა“.

განვითარებული სოციალიზმი აუცილებელი რგოლი და შედარებით გრძელი მონაკვეთია, ისტორიული მიჯნაა კომუნიზმის გზაზე. კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზიდან უმაღლეს ფაზაზე გადასვლა და მათ შორის განსხვავების წაშლა ხანგრძლივი პროცესია. ლენინი ითვალისწინებდა ამას და აღნიშნავდა, რომ განსხვავება კომუნისტური საზოგადოების დაბალ და მაღალ ფაზას შორის „ალბად დიდი იქნება“.

სოციალისტური საზოგადოების ლენინური თეორია და პრაქტიკა ამხელს მაოიზმს, რომელმაც ბაკუნინისა და ნეჩაევის მემკვიდრეობა მიიღო და „ყაზარმულ სოციალიზმს“ იცავს; ლენინიზმი ამხილებს რეფორმისტულ და რევიზიონისტურ „დემოკრატიულ სოციალიზმს“ და „ჰუმანურ სოციალიზმს“. აგრეთვე „ევროკომუნიზმის“ და „შემდგომინდუსტრიული საზოგადოების“ უტოპიურ-რეაქციულ სოციალურ-პოლიტიკურ თეორიებს და ადასტურებს მეცნიერული კომუნიზმის, რეალური სოციალიზმის ისტორიულ სისწორეს.

ფუჭი ცდაა ყოველგვარი ძიება მომავალი საზოგადოების ისეთი მოდელის შექმნისა, რომელიც სოციალიზმისა და კომუნიზმისაგან განსხვავებული საზოგადოება იქნება. იგი მხოლოდ მოდერნიზებული მონოპოლისტური სახელმწიფო შეიძლება იყოს და სხვა არაფერი. სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი სოციალიზმის კარიბჭეა, ისტორიული კიბის ის საფეხურია, რომლის შუა და სოციალიზმად წოდებულ საფეხურს შუა არავითარი შუათანა საფეხური არ არის“ (ლენინი).

ანტიკომუნიზმი ცდილობს „წინააღმდეგობა“ აღმოაჩინოს მეცნიერულ კომუნიზმის თეორიასა და პრაქტიკას შორის და სახელი გაუტეხოს რეალურ სოციალიზმს: მეცნიერული სოციალიზმი სრულყოფილ, იდეალურ სისტემას ქადაგებსო, რეალური სოციალიზმი კი სოციალიზმის „საბჭოური მოდელია“, სადაც არსებობს ეკონომიკური უთანასწორობა, ქონებრივი და კლასობრივი განსხვავება და უსამართლობა მოხმარების საგნების განაწილებაშიო. ანტიკომუნიზმი ებრძვის თვით მის მიერ გამოგონილ გამთანაბრებელ კომუნიზმს, მას კი ჰგონია, რომ აბათილებს მეცნიერულ კომუნიზმს, რეალურ სოციალიზმს.

კომუნიზმი თავის პირველ ფაზაში იძულებულია „ბურჟუაზიული უფლების ვიწრო ჰორიზონტი“ შეინარჩუნოს. იგი სპობს წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებას, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, მაგრამ მას, როგორც ლენინი აღნიშნავდა, არ ძალუძს ერთბაშად მოსპოს „შემდგომი უსამართლობაც, რაც მდგომარეობს მოხმარების საგნების „მუშაობის მიხედვით“ (და არა მოთხოვნილების მიხედვით) განაწილებაში“, რადგან იგი ჯერ კიდევ სავსებით მომწიფებული არ არის ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანის შეგნების დონით. სოციალიზმს განვითარების თანამედროვე ეტაპზე არ ძალუძს ადამიანის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მაგრამ სოციალისტური საზოგადოების ჰუმანიზმს განსაზღვრავს არა მოხმარების არსებული დონე, არამედ შრომის ხასიათი და დანიშნულება.

სოციალისტური წარმოების უმაღლესი მიზანია ადამიანის მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება. პარტიის XXV ყრილობამ დასახა მისი განხორციელების გზა — საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, შრომისნაყოფიერების დაჩქარების ბაზაზე. სადღეისოდ გაისმის ლენინის მითითება: „ახლა მუშაობის ცენტრია კულტუროსნობა“.

ჩვენ ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზები და ნაკლოვანებები გვაქვს მეურნეობის გაძღოლასა და პარტიული მუშაობის პრაქტიკაში. მათი დაძლევა და ხალხის ცხოვრების კიდევ უფრო გაუმჯობესება დამოკიდებულია ადამიანებზე, რომლებიც თვით არიან „საკუთარი ისტორიის ავტორებიც და მსახიობებიც“. ქვეყნის შემდგომი განვითარება, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, დამოკიდებულია „თითოეული საბჭოთა ადამიანის დისციპლინაზე, კეთილსინდისიერებასა და გულმოდგინებაზე, იქ, სადაც შრომობენ. წარმატების სხვა გზა არ არსებობს.“

ლენინი კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოდ პროლეტარიატის დიქტატურას მიიჩნევდა და თვლიდა, რომ კაპიტალიზმის რესტავრაციის საშიშროების გაქრობა „პროლეტარიატის დიქტატურის შეწყვეტის“ მომასწავებელი იქნებოდა.

ლენინის წინასწარხედვა დაადასტურა სოციალისტურმა პრაქტიკამ და საშუალება მისცა პარტიას იმ დასკვნამდე მისულიყო, რომ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო გადაიზარდა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, რომელიც განაგრძობს პროლეტარიატის დიქტატურის შემოქმედებით მისიას განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

სოციალიზმს დემოკრატიისა და ადამიანის უფლების თავისი გაგება და საზომი აქვს. ჩვენი კონსტიტუცია ადასტურებს მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს და უზრუნველყოფს მათი განხორციელების კონკრეტულ გარანტიებს. უფლება და მოვალეობა განუყოფელია. არ შეიძლება ცხოვრობდე საზოგადოებაში და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში ჩამოყალიბდა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი და პარტიამ შეიმუშავა საბჭოთა ხალხის ლენინური თეორია. ერის, როგორც ისტორიული ერთობისა, და საბჭოთა ხალხის, როგორც ახალი ისტორიული ერთობის თანაფარდობის საკითხის გაგებაში იმთავითვე იჩინა თავი შეხედულებათა სხვადასხვაობამ. ზოგმა „ერთიანი საბჭოთა ერის ცნება“, წამოაყენა, სხვებმა კიდევ საბჭოთა ხალხი ერთა უბრალო ჯამად, მექანიკურ შენაერთად, კონგლომერატად გამოაცხადა.

ლ. ი. ბრეჟნევმა გადაჭრით უარყო ორივე ეს მცდარი შეხედულება და ნათლად გვიჩვენა, რომ საბჭოთა ხალხი წარმოადგენს სოციალურ-კლასობრივ და ეროვნებათაშორის ინტერნაციონალურ ერთობას, ახალი ისტორიული ერთობის შექმნით არ გამქრალა ეროვნული სხვაობანი და არ მომხდარა მათი შერწყმა. ერები და ეროვნებები ინარჩუნებენ თავიანთ თავისებურებებს, ეროვნული ხასიათის ნიშნებს, მშობლიურ კულტურას, ენას, თავის ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებს, მამა-პაპათა მამულის სიყვარულს.

ლენინმა შემდგომ განავითარა ზოგადისა და კონკრეტულის დიალექტიკის მარქსისტული გაგება და იგი, როგორც მეთოდოლოგიური პრინციპი ეროვნულ საკითხში, ასე გამოთქვა: „სხვადასხვა ერი ერთნაირი ისტორიული გზით მიდის, მაგრამ მეტისმეტად სხვადასხვაგვარი ზიგზაგებითა და ბილიკებით“. ამიტომ არის, რომ კომუნისტური მოძრაობის ინტერნაციონალური ერთიანობის ტაქტიკა მოითხოვს არა ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას, არამედ სოციალიზმის ძირითადი პრინციპების ისეთ გამოყენებას, რომელიც „სწორად შეუხამებდა, შეუფარდებდა მათ ეროვნულ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განსხვავებებს“.

განვითარებული სოციალიზმის ხანის საქართველო ამის მკაფიო, კლასიკური მაგალითია. საქართველოს კომპარტიამ ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის თანაფარდობის ლენინური გაგებით ჩამოაყალიბა და განაზოგადა ეროვნულ-სპეციფიკური თავისებურებანი ერთიანი ინტერნაციონალური ამოცანის გადასაწყვეტად.

ნიშანდობლივია, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების თეორიულმა და საინფორმაციო ჟურნალმა „მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემებმა“ გამოაქვეყნა ე. ა. შევარდნაძის სტატია „სკკპ ეროვნული პოლიტიკა განვითარებული სოციალიზმის პირობებში“, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თეორიულმა ორგანომ სოციალისტურ საქართველოში დაინახა ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის სწორი შეხამებისა და ეროვნულ ურთიერთობათა ლენინური თეორიისა და პრაქტიკის გამარჯვების ნიმუში. ეს საბჭოთა საქართველოს დიადი მონაპოვრის ფართო აღიარებაა. სტატიაში პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე განხილულია ერთა და ეროვნულ ურთიერთობათა ძირეული პრობლემები და მოცემულია მარქსისტულ-ლენინური ეროვნული თეორიისა და პოლიტიკის დასაბუთება, დაკონკრეტება და განვითარება „როგორც განვითარებული სოციალიზმის ეტაპის თავისებურების, ისე იმ ეროვნულ ნიშან-თვისებების და ნიუანსების გათვალისწინებით, რომლებითაც სკკპ გამოცდილების საგანძურს ადგილობრივი გამოცდილება, ადგილობრივი სპეციფიკა ამდიდრებს“.

ე. ა. შევარდნაძე მიუთითებს, რომ სოციალიზმის პირობებში ერთა ურთიერთობის ძირითადი და განმსაზღვრელი ტენდენცია ერთა აყვავებისა და დაახლოების ტენდენცია გახდა და ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში იმ აზრს გამოთქვამს, რომ „ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა ეროვნული ენერგია ემსახურებოდა და ემსახურება მხოლოდ სოციალიზმის დიად საქმეს, ვინაიდან ლაპარაკია სოციალისტური ერების ეროვნულ ენერგიაზე. თავის დიალექტიკური განვითარების გამო ეროვნული ენერგია კაცობრიობის ისტორიაში პირველად გახდა და გახდა სწორედ ჩვენს დროში ნამდვილად ინტერნაციონალური ძალა“.

სოციალისტური ერების განვითარებისა და დაახლოების პროცესში ყალიბდება და ვითარდება სოციალისტური ეროვნული ცნობიერება, რომელიც ეროვნულ ენერგიად იქცევა და ინტერნაციონალურ შემოქმედებითს როლს ასრულებს ერის ცხოვრებაში.

საქართველოს კომპარტია „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად მტკიცედ ახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, რომ ჩაუნერგოს ყველა მშრომელს სოციალისტური სამშობლოსათვის სიამაყის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი, ძმური მეგობრობის გრძნობა, ეროვნული ღირსებისა და ეროვნული კულტურის პატივისცემა, ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეუწყნარებლობა.

საქართველოს კომპარტიის ყურადღების ცენტრში ადამიანის პრობლემა დგას. საზოგადოების განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესი ადამიანთა მოქმედებით ხორციელდება. ადამიანის ცნობიერება, აღნიშნავდა ლენინი, არა მარტო ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ კიდეც ქმნის მას.

ეს განაპირობებს ადამიანისათვის, ადამიანის სულიერი სამყაროსათვის ზრუნვას. საქართველოს კომპარტია ბრძოლას უცხადებს „ყოველივე არაადამიანურს ადამიანში“, რომ აღზარდოს კომუნიზმის შემოქმედი ახალი ადამიანი.

წარსულის გადმონაშთები შემორჩენილია არა მარტო ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში, არამედ ყოფა-ცხოვრებასა და ეკონომიკაშიც. მათს არსებობას სოციალიზმის ეკონომიკური მოუმწიფებლობაც განაპირობებს. მაგრამ სოციალიზმის ბუნებიდან, მისი განვითარების ხასიათიდან არ გამომდინარეობს. იგი მათი დაძლევისა და მოსპობის სრულ შესაძლებლობას იძლევა.

პარტია იმისთვის ზრუნავს, რომ ხალხის ცხოვრება კიდევ უფრო მდიდარი გახდეს არა მარტო მატერიალურად, არამედ სულიერადაც ლ. ი. ბრეჟნევმა გაგვაფრთხილა: „განსხვავება მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში არ უნდა დავუშვათ. ეს ბევრ უბედურებას მოგვიტანს“.

გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას და, რაც მთავარია, რევოლუციურ-კომუნისტურ პრაქტიკას, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას.

პარტიის წინაშე რთული სამეურნეო ამოცანები და საერთაშორისო ურთიერთობის ძნელი პრობლემები დგას. მათი გადაწყვეტის გარანტია საერთო-სახალხო მხარდაჭერა, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა.

მიმდინარე წლის ივნისში გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება და გადაწყვიტა სკკპ მორიგი XXVI ყრილობის მოწვევის საკითხი, ხოლო ივლისში საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე ე. ა. შევარდნაძემ თავის მოხსენებაში განსაზღვრა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრის საქმეში.

სკკპ XXVI ყრილობა დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იქნება პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში; იგი კომუნისტური მშენებლობის შემდგომ ეტაპზე ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკას განსაზღვრავს და ახალ წვლილს შეიტანს მეცნიერული კომუნიზმის თეორიასა და პრაქტიკაში.

**ლ. გორგილაძე,**
**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.**

ფოტორეპორტაჟი

## ქართული ფაიფური





დიდი ხანი არ არის, რაც პირველი პროდუქცია გამოუშვა ზუგდიდის ფაიფურის ქარხანამ, მაგრამ მან უკვე მოიპოვა მომხმარებელთა აღიარება. მართალია, საწარმოს ჯერჯერობით კიდევ უჭირს, მაგრამ თანდათან უმჯობესდება წარმოების ტექნოლოგია, ოსტატობას იმაღლებენ აქაური კადრები და ეს მათს ნახელავსაც ეტყობა.

ახლა ეს ახალგაზრდა საწარმო წელიწადში 28 მილიონი მანეთის 35 დასახელების პროდუქციას ამზადებს. ფართოვდება პროდუქციის ასორტიმენტი, სულ უფრო უმჯობესდება ნაწარმის გარეგნული სახე. იხვეწება დამზადების ტექნოლოგია.

საწარმოში ბევრი ახალგაზრდა შრომობს, რომლებმაც ესეს არის აითვისეს ფაიფურის ნაწარმის დამზადების პროფესია, მაგრამ მათი პროდუქცია უკვე თითქმის უზადოა.

სურათებზე: ზემოთ — თვალს ახარებს მხატვარ-კერამიკოსის ს. ქალდანის მიერ მოხატული ჭურჭელი; გ. პრიმაკი კერამიკოსია და ყოველთვის მხოლოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს; ქვემოთ — ცვლის უფროსი ნ. თოფურიძე და კონტროლიორი ლ. დარასელია კმაყოფილი არიან ნახელავით.

**ჯ. ლომაძე.**
ავტორის ფოტო.



# ვის მოჰპარეს ყურძენი?

**ასეთი** ბარაქიანი სექტემბერი თვით გურჯაანის რაიონსაც კი არასდროს ჰქონია. თვით გამოცდილი და მრავალსიმსწრე ადამიანები აკი ამბობენ კიდეც: არ გვახსოვს ყურძნით ამგვარად დატვირთული ვაზებიო.

აბა მეტი სიხარული რაღა უნდა გლეხკაცს. მისი ენით რომ ვთქვათ, ზვრებში ღვთის თვალი ტრიალებს. ამას ისე იტყვიან ხოლმე, თითქოს ავიწყდებათ, რომ ეს „ღვთის თვალი“ თავად დაატრიალეს და განა ამას ერთი და ორი დღის შრომა სჭირდებოდა? მთელი წელიწადი ოფლი იღვრებოდა, ვერც მუხლი ისვენებდა, არც მარჯვენას ეცალა, ვინ იცის, მეზვრეს რამდენჯერ ზეზეურად მარცხენა ხელში დაჭერილი პურითა და ყველით წაუხემსებია.

განა დღეს გავიგეთ პირველად, რომ ხუთწლედის გეგმის შესრულება ამდენი და ამდენი ყურძენი სჭირდებოდაო? — იტყვიან ხოლმე და დასძენენ, ეს წლის დასაწყისშივე რომ არ გვცოდნოდა, ვერც ამ დიდ თადარიგს დავიჭერდითო.

აბა ვკითხოთ მელაანის კოლმეურნეობის ცნობილ ბრიგადირს შოთა ჯავახიშვილს, რამდენი შრომაა საჭირო იმისათვის, რომ ვენახში „ღვთის თვალი“ დატრიალდეს.

მის ბრიგადას 144 ჰექტარი ვენახი აქვს გაპიროვნებული. — ჩვენი ზვრები რომ ერთ მწკრივად წარმოვიდგინოთ, იტყვის ხოლმე მელაანელი ბრიგადირი, გურჯაანიდან გაგრამდე ჩაწვდებაო. გურჯაანიდან გაგრამდე კი ბარე 600 კილომეტრია. წლის განმავლობაში შოთა ჯავახიშვილი სამჯერ მაინც გაივლის ხოლმე თავისი ბრიგადის ვენახებში რიგებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2 ათას კილომეტრზე მეტს გადის ფეხით. თანაც წარმოვიდგინოთ, რომ ეს უბრალო გასეირნება არ არის, ამ სიარულს თან ახლავს დიდი ფიზიკური შრომა.

და ასეთი შრომით მოჰყავთ ხოლმე ჩვენს მევენახეებს ესოდენ ზღაპრული მოსავალი.

სულში და გულში გუდაფშუტა უნდა გერიოს, ჯანსაღი კაცი არ უნდა იყო, რომ ასეთ მაშვრალ ადამიანებს ნაშრომი მოპარო და მიითვისო.

მიითვისეს კი — უფრო სწორად უნდოდათ მითვისება და აღარ დააცალეს. უნამუსობაზე ზედ წაასწრეს იმათ, ვისაც კოლმეურნეობა ენდო და თავისი ნამაგარის დარაჯობა დაავალა.

— არა, ჩვენ ვერ დავინდობთ და არც უნდა დავინდოთ ისინი, ვინც დიდ გზაზე მიმავალთ ესოდენ უსინდისოდ გვედობება, — გვითხრა საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. შინჯიკაშვილმა.

მარტო არაშენდის კოლმეურნეობაში ჩადენილი ყურძნის ქურდობა კი არა, განაგრძო მდივანმა, რაიონში მოხდა რამდენიმე სამწუხარო ფაქტი, რომლებზეც მკაცრად ვიმსჯელეთ, რათა ასეთი შემთხვევები აღარ განმეორებულიყო. ვთქვათ გულახდილად: სხვაგვარად ჩვენ ამგვარ მოსავალს ვერ მივიღებდით.

შაშიანის კოლმეურნეობაში შაბიამნის რეზერვუარის გამგედ მუშაობდა ი. ბიწკინაშვილი, უშუალოდ მას ებარა შაბიამანი და გოგირდი. მისი მონაწილეობით მზადდებოდა შესაწამლი ხსნარები. მან და მძღოლმა ჯ. ქევხიშვილმა მოიპარეს 1150 კილოგრამი შაბიამანი და 450 კილოგრამი გოგირდი. სახლებში გადაიტანეს და გაყიდვა უნდოდათ, თუმცა სად უნდა გაეყიდათ, ვის სჭირდებოდა მათი ნაქურდალი?! საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის გადაწყვეტილებით მშრომელებს უფასოდ დაურიგეს საჭირო რაოდენობის შაბიამანი და გოგირდი საკუთარი ვენახების მოსავლელად. უფრო მეტიც: იყო მითითება, რომ საზოგადოებრივ სექტორში დარჩენილი გამზადებული ხსნარები გამოეყენებინათ კერძო ვენახებში. ჭკვიანური გადაწყვეტილებაა. განა ვენახი, საზოგადოებრივია იგი თუ საკუთარი, ერთ საქმეს არ ემსახურება?

და აი, გოგირდისა და შაბიამნის ქურდებმა თავისი თავიც დააზარალეს და სოფელიც.

ეტყობა შაშიანის კოლმეურნეობაში წყალ-წყალა ხსნარები ასხურეს ვაზებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვერ უმკურნალეს ვენახს. დღეს ვხედავთ ცუდ შედეგს: გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მხოლოდ შაშიანელებს უჭირთ ყურძნის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა-ვალდებულების შესრულება.

მთელი სამეურნეო წლის განმავლობაში საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის ბიურო სისტემატურად განიხილავდა ხოლმე ამა თუ იმ საზოგადოებრივ მეურნეობაში ვენახების მოვლა-დამუშავების საკითხებს. პარტიის რაიკომი ყოველი წვრილმანი საქმის კურსში იყო. მონდომებულები უფრო წადინობდნენ, ყურმოდვრენილნი მკაცრად ისჯებოდნენ.

ჯიმითის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი ი. ქიტოშვილი ამავე დროს პარტიული ორგანიზაციის მდივანიც იყო. სპეციალისტი და კომუნისტების წინამძღოლი აშკარად ვერ ამართლებდა ნდობას. მეურნეობის ზვრებში აგროტექნიკური ღონისძიებები უხარისხოდ შესრულდა. რაიკომის ბიურომ მკაცრად იმსჯელა ამ საკითხზე. სუსტი სპეციალისტი გაათავისუფლეს თანამდებობიდან. ამავე დროს რჩევა მიეცა პარტიულ ორგანიზაციას, რომ იგი მდივნობიდან გადაერჩიათ.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ რაიკომის ბიუროს ეს დადგენილება სისრულეში მოიყვანა.

ამავე მეურნეობის დირექტორს ალ. მედულაშვილს სუსტი ორგანიზატორული მუშაობისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

რაიონში ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ნაშრომი დაფასებულიყო, რომ გამრჯე ადამიანების გვერდით არ ყოფილიყვნენ უქნარები, რომ გეგმაც შესრულებულიყო და ვალდებულებაც.

— ახლა მოსავალი ჩვენს ხელთ არის. დიდ ვალდებულებას — 150 ათას ტონა ყურძენს — თავს დავუვლით. ამიტომ ორი არაშენდელი ქურდბაცაცის ცუდი ზნე ვერც ნირს შეგვიცვლის, ვერც სახელს გაგვიტეხს. ერთი კი არის საწყენი: როცა არაშენდელები 6 ათასი ტონა ყურძნისათვის იბრძვიან, როცა თითოეულ მტევანს გულში იხუტებენ, მათი ღალატი არ შეიძლება, — თქვა გურჯაანის რაიონის თავკაცმა.

არაშენდის კოლმეურნეობის სხვადასხვა ბრიგადაში ყარაულებად მუშაობდნენ ი. ბაჩაკაშვილი და ვ. მამისაშვილი. მათ ენდობოდნენ თანასოფლელები, ენდობოდა კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული კომიტეტი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნინო ბოსტოღანაშვილისა და მისი თანამდგომების ნაშრომს სდარაჯობდნენ ბაჩაკაშვილი და მამისაშვილი.

მერე ერთმა 358 კილოგრამი ყურძენი მოიპარა, მეორემ — 308 კილოგრამი. სახლებში ჩუმად მიჰქონდათ ნაქურდალი.

კოლმეურნეობის გამგეობამ ეჭვი აიღო ქურდებზე. მერე, სამწუხაროდ, ეს ეჭვი გამართლდა და ბაცაცები დანაშაულზე დაიჭირეს (ეს ამბავი ცოტა სხვაგვარად გამოქვეყნდა პრესაში. თითქოს კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა ბაიბურში არ იყო, როცა ი. ბაჩაკაშვილი და ვ. მამისაშვილი ყურძენს იპარავდნენ).

რა თქმა უნდა, 300-300 კილოგრამი ყურძენი არაშენდის კოლმეურნეობას ვერ გაალარიბებს. გურჯაანის რაიონის ზღვა მოსავალს ხომ არაფერი შეეტყობა. ამიტომ, რა ვქნათ, მოვხუჭოთ თვალები? არამც და არამც. მატერიალურ ზარალს რომ თავი დავანებოთ, ამგვარი ქურდბაცაცების საქციელი ძალიან ცუდად მოქმედებს მშრომელის ფსიქიკაზე. ქურდებს შეიძლება მხარში ამოუდგნენ სუსტი ნებისყოფისა და საეჭვო სულის ადამიანები. რა მოხდება, რომ თითოეულმა მშრომელმა იფიქროს, ცოტას წაღებით არ დაშავდებაო? მაშინ ზღვა კოვზით დაილევა.

გურჯაანის რაიონში თითოეულ მწკრივზე მხოლოდ 5 კილოგრამი ყურძენი რომ დაგვრჩეს დაუკრეფავი, საბოლოოდ ეს 3 ათასი ტონა ყურძენი იქნება, ანუ ერთი დიდი კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი.

ამიტომაც ნემსისა და აქლემის ქურდი — ორივე ქურდია. ჩვენს მამა-პაპათ ეს ტყუილად არ უთქვამთ.

ქურდი ქურდია და სასჯელს იმსახურებს. დღე-დღეზე დაისჯებიან კიდევაც.

სოფელს კი გული სტკივა მომხდარ ამბავზე. არაშენდელებს ისიც უკვირთ, ჩვენა გვპარავდნენ და როგორ პირღიმილიანები გვესალმებოდნენ ხოლმეო.

ვის მოჰპარეს ქურდებმა ყურძენი?

ბიძაშვილებს, მეზობლებს, ნათლია-მირონებს, თავის თავსაც. ხელფასები და პრემიები ხომ საერთო შემოსავლიდან გაიცემა და იგი ყველას ერგება. დარაჯსაც, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, იმდენი ჯაფა არ ადგას, რამდენიც მეზვრეს.

...დიდი რთველია გურჯაანში. ვინც ახლა იქ ჩავა, დარწმუნდება, რომ მეზვრეებს არ გაუჭირდებათ სიტყვის შესრულება. 150 ათასი ტონა საუკეთესო ყურძენს მიიტანენ სახელმწიფო მარანში, ისეთს, თავად მეღვინეები რომ ვერ იმეტებენ დასაწურად.

დაიწურება კახეთის მიწისა და მზისაგან, დიდი შრომისაგან მიღებული სიქეთე.

რა იქნებაო გაისად? — უკვე კითხულობს ხალხი.

რა იქნება და, ისევ ზღვად მოსკდება მოსავალიო — ამბობენ საქმეში ჩახედულნი. ერთმა კარგმა გურჯაანელმა კაცმა გვითხრა: ხომ დიდი მოსავალი მივიღეთ, ვაზი სულაც არ გადატვირთულა. ვუვლით და იმიტომ. მტრედის ფეხებივით წითლადაა ლუის ვაზის რქა. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსავალს გაისადაც კარგს უნდა ველოდოთ.

და მაშინ შეგვეცოდნენ ის ადამიანები, რომლებიც თავისი სულმოკლეობისა და ქურდბაცაცობის წყალობით მომავალ დიდ რთველს ველარ იხილავენ, ვერც შაშიანში და ვერც არაშენდაში.

**ჯ. ქურხული,**
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

საბჭოთა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გადმოგვცემენ

# საერთაშორისო ცხოვრება
# დედამიწის ზურგზე

## ა. ა. გრომიკო შეხვდა ე. მასკის

[illegible]

## მშვიდობისათვის მებრძოლ ხალხთა მსოფლიო პარლამენტის მოწოდება

[illegible]

... ამ სამიმ, არაადამიანურ დოქტრინას!

... ცვან მშვიდობა — თავიანთი უპირველესი უფლება! უნდა ვიმოქმედოთ!

შევაჩეროთ ისინი, ვინც ცდილობს მშვიდობას უფსკრულისაკენ უბიძგოს! დაე, უმაგალითო ძალით გაისმას ჩვენი ხმა!“.

## იხილავენ მწვავე საერთაშორისო პრობლემებს

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი. [illegible]

... ულებამ „საფუძველი ჩაუყარა ნაყოფიერი ურთიერთინტერესების განვითარებას“. ამა წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული [illegible] ... ერთხელ კიდევ გავიმეორო, თქვა მინისტრმა, რომ ჩემს ქვეყანას უმოკლეს ვადაში ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის იმედი აქვს.

[illegible] ... წინააღმდეგ, განაგრძობს ნამიბიის ტერიტორიის უკანონო ოკუპაციას.

სიერა ლეონეს პრეზიდენტმა ს. პ. სტივენსმა, როგორც აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, უარყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მმართველი წრეების თავხედური ცდები მოატყუონ მსოფლიო საზოგადოებრიობა და ნამიბიელ ხალხს თავს მოახვიონ მარიონეტული რეჟიმი. მან უშიშროების საბჭოს მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესების შესაბამისად მიიღოს ქმედითი ზომები პრეტორიის წინააღმდეგ, შემოიღოს მის წინააღმდეგ ყოვლისმომცველი სავალდებულო სანქციები, ამასთან ხაზგასმით [illegible]

... ვი ომისა“ და დაძაბულობის გამწვავებისაკენ შეაბრუნოს. ცხადია, რომ სწორედ ასეთ ვითარებაში მისთვის უფრო მოსახერხებელია ახორციელებდეს თავის ჰეგემონისტურ ზრახვებს, აწყობდეს შეიარაღებულ პროვოკაციებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მეზობელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. პეკინის წარმომადგენელმა ამ გამოსვლაში სხვის მოსაჩვენებლადაც კი არ „გააკრიტიკა“ ამერიკის იმპერიალიზმი, და ამით ცხადყო, რომ ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელები მთლიანად მოურიგდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს და შეკრეს მსოფლიოს ყველა ხალხისათვის საშიში კავშირი.

## საბჭოთა კავშირ—ამერიკის ერთობლივი ცნობა

[illegible] ... მოლაპარაკების დაწყების საკითხებზე, რომლებიც აღიძრა ამ შეხვედრის წინ მხარეთა კონტაქტის დროს. ამის შედეგად მიაღწიეს [illegible] ... რებს ჟენევაში, რათა შეუდგნენ ამ საკითხების პრაქტიკულად განხილვას.

## ეგვიპტელ პატრიოტთა განცხადება

ბეირუთი, 26 სექტემბერი. ბოლო ორი წლის მანძილზე ახლო აღმოსავლეთსა და შიგ ეგვიპტეში მომხდარმა ამბებმა მთლიანად გააქარწყლა ქემპ-დევიდის გარიგების მონაწილეთა მტკიცება თითქოს ისრაელის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ქემპ-დევიდის შეთანხმებაზე ხელის მოწერას რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარება, ეგვიპტელი ხალხის კეთილდღეობის აღმავლობა მოჰყვება. ეს ნათქვამია ეგვიპტელ პატრიოტთა საზღვარგარეთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის აქ გავრცელებულ განცხადებაში. ამ გამცემლურმა შეთანხმებამ, აღნიშნულია დოკუმენტში, სრულიად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო.

განცხადებაში მკაცრად არის გაკრიტიკებული სადათის რეჟიმი. აღმასკომმა მოუწოდა მთელ პროგრესულ პატრიოტულ ძალებს გააქტიურონ ბრძოლა სადათის რეჟიმის წინააღმდეგ.

## მოკლედ
## ყოველი მხრიდან

26 სექტემბერი

● ბრიუსელი. ფართოვდება ბელგიელ მშრომელთა საგაფიცვო გამოსვლები. ამჟამად საგაფიცვო მოძრაობამ მოიცვა 20 ათასზე მეტი კაცი.

● ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ გადაწყდა პუერტო-რიკოს ტერიტორიაზე განლაგებული ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზა ფორტ-ალენი გადაკეთდეს „დოკუმენტების გასინჯვის ცენტრად“.

● ადის-აბება. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები, პლანეტის ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო მტკიცედ უჭერს მხარს ეთიოპიას, რომელიც იცავს თავის რევოლუციის მონაპოვარს იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალებთან ბრძოლაში. ეს განაცხადა აქ ეთიოპიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფელეკე გედლე გიორგისმა, რომელიც დაბრუნდა მთელ რიგ სოციალისტურ ქვეყნებში მოგზაურობიდან.

## პოლონეთის პრესის სააგენტოს ცნობა

ვარშავა. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, ვარშავის სავოევოდო პროკურატურამ აღძრა სასამართლო საქმე ლ. მოჩულსკის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედება ცილის დაწამება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებზე.

როგორც ცნობილია, დასავლეთის ბურჟუაზიული პროპაგანდა ბოლო ხანს საკუთარი მიზნებით აქტიურად იყენებს არა მარტო საზღვარგარეთ მყოფ რეაქციულ პოლონურ ემიგრაციას, არამედ სხვადასხვაგვარ პირებს, რომლებიც პოლონეთში ცხოვრობენ და თავს ასაღებენ „ჭეშმარიტ“ პოლონელებად, ვითომდა „ქვეყნის ბედ-იღბლისათვის“ რომ შესტკივათ გული. ლ. მოჩულსკი თავის თავს უწოდებს ყბადაღებული „დამოუკიდებელი პოლონეთის კონფედერაციის“ ლიდერს. დასავლეთგერმანული ჟურნალის „შპიგელისათვის“ მიცემულ და 15 სექტემბერს გამოქვეყნებულ ინტერვიუში, იგი მოუწოდებდა პოლონეთის სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის, კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის და ა. შ.




საფრანგეთის მშრომელთა ქრთიანობის . დემონსტრაციად იქცა გაზეთ „ლუმანიტეს“ ტრადიციული დღესასწაული, რომელიც პარიზის კურნევის გარეუბანში გაიმართა. ფესტივალის საერთაშორისო ქალაქში იყვნენ 80 მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბეჭდვითი ორგანოების წარმომადგენლები.

სურათზე: დღესასწაულის მონაწილეთა მიტინგი.

საკდესის ტელეფოტო.

## ირან - ერაყის კონფლიქტი

პარიზი, 26 სექტემბერი. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ერაყის ჯარები განაგრძობენ შეტევას ირანის ტერიტორიაზე ორივე მთავარი მიმართულებით: ქალაქ კასრე-შირინიდან სამხრეთისაკენ სახელმწიფო საზღვრის გაყოლებით, აგრეთვე ალყაშემორტყმული ქალაქებიდან აბადანიდან და ხორემშეჰრიდან ირანის სიღრმეში. მეთვალყურეთა აზრით, ეტყობა, ერაყის სარდლობის ამოცანაა ხელში ჩაიგდოს აბადანის ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობის ცენტრი, აგრეთვე ხორემშეჰრი — ქვეყნის სამხრეთის მთავარი ნავსადგური მდინარე შათ-ელ-არაბზე.

ხუზესტანში გამართულმა ბრძოლებმა დიდი ზარალი მიაყენა ირანის ნავთობის მრეწველობას. მსოფლიოს უდიდესმა აბადანის კომბინატმა შეწყვიტა მუშაობა, დაზიანებულია მისკენ მიმავალი ნავთობისა და გაზის მილსადენები. აბადანის ნავსადგურის აკვატორიაში ერაყის თვითმფრინავებმა ორი ტანკერი ჩაძირეს.

ერაყის ავიაცია კვლავ ბომბავს ირანის სხვადასხვა ობიექტს. ასაფრენ-დასაშვები ზოლების დაზიანების შემდეგ დაიხურა თეირანის მეჰრაბადის საერთაშორისო აეროპორტი.

ირანის ჯარები ეწევიან თავდაცვითს, მათ შორის სატანკო და საზღვაო ბრძოლებს. ირანის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა გადაკეტა გასასვლელი შათ-ელ-არაბიდან სპარსეთის ყურეში.

როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, გუშინ ერაყის თვითმფრინავები ბომბავდნენ ირანის ნავთობჩამოსასხმელ ნაგებობებს ხარკის კუნძულზე, რომელიც ირანის მთავარი საექსპორტო ტერმინალია. ირანის ნავთობის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაბომბვით გამოწვეული დაზიანების გამო ირანმა დროებით შეწყვიტა ნავთობის ექსპორტი ამ ნავსადგურიდან.

ბაღდადი. ინას სააგენტოს მიერ გადაცემულ ერაყის შეიარაღებული ძალების მთავარი სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ერაყის ჯარებმა, რომლებიც სულ უფრო ავითარებენ შეტევას ირანის ტერიტორიაზე, დაიკავეს ქალაქები მეჰრანი და ნაფთშაჰრი. გარდა ამისა, ალყაშემორტყმულია აგრეთვე ქალაქები აბადანი და ხორემშეჰრი, ხოლო ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე ქალაქი სარე-პოლე-ზოჰაბი.

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა ირანისა და ერაყის პრეზიდენტებს მოუწოდა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ სისხლისღვრა. ორი სახელმწიფოს მეთაურებისადმი წერილებში მან უაღრესად დიდი შეშფოთება გამოთქვა კონფლიქტის განგრძობის გამო.

## ტყეებს ნუ კაფავ, ბრალია!

### საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე

დარბაზის კედელზე გაკრული წარწერა — დიდი ილიას სიტყვები ერთხელ კიდევ შეახსენებდა დამსწრეთ, თუმც თითოეულმა მათგანმა კარგად იცოდა: „ტყის მოვლა-გაშენება და დაცვა — ეს არ არის რომელიმე კერძო პიროვნების საქმე, ეს მთელი ერის საქმეა. ვისაც ერის მომავლისათვის გული არ შესტკივა, ის რასაკვირველია, ხეებს უღვთოდ გააჩანაგებს, გაკაფავს და ცეცხლსაც კი წაუკიდებს“.

არა. არც ერთ მათგანს ტყე ცეცხლისათვის არ მიუცია. პირიქით, უმრავლესობას წლების მუშაობის გამოცდილება აქვს და კარგად იცის, რომ მისი გაჩანაგება და გაპარტახება კი არა, მოვლა-პატრონობა და გაფრთხილება ევალება. ცოდნით კი იციან, მაგრამ რა! ისევ მათივე ხელშეწყობით, წაყრუებით, გულგრილობით სხვებმა წაუკიდეს ცეცხლის ფასი მათთვის მინდობილი ტერიტორიიდან გაზიდულ უძვირფასეს ხე-ტყეს.

სვანეთის ძირითადი და ფასეული სიმდიდრე კი სწორედ ის არის — ტყე.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს კოლეგია მესტიის რაიონის ხაიშის სატყეო მეურნეობაში ტყეების დაცვისა და ტყითსარგებლობის მდგომარეობის საკითხს განიხილავდა.

რესპუბლიკაში ხის მასალის დიდი დეფიციტი დღეს ახალი არავისთვის არის. სამაგიეროდ, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონს ეს დეფიციტი სრულიადაც არ ეხება და ამდენად არც აწუხებს. ხაიშის ტყეები იყოს, თორემ ხე-ტყე არ მოგვაკლდებაო,“ ამბობდნენ კიდეც.

— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, — თქვა კოლეგიაზე სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, სამინისტროს ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ჯ. ჩარკვიანმა (იმ კომისიისა, რომელმაც განიხილა ხაიშის ტყეებში შექმნილი მდგომარეობა), — თითქოს მესტიაში ყველა ორგანიზაციას იმაზე გაცილებით მეტი ხე-ტყე ეძლეოდეს, ვიდრე ესაჭიროება, თორემ თავის კუთვნილ მასალას ორგანიზაცია სხვა რაიონს არ დაუთმობდა. და განა მარტო სახელმწიფო ორგანიზაციები? მოსახლეობას — თითოეულ კომლს წელიწადში გათვალისწინებული 5 კუბური მეტრი ხე-ტყის ნაცვლად 10-12 კუბური მეტრი ეძლევა, ხშირად ისეთ პიროვნებებსაც, რომლებიც არც არაფერს არ აშენებენ და არც არემონტებენ. ასე იქცა გაცვლა-გამოცვლის, ალებმიცემობის, სპეკულაციის საშუალებად სვანური ტყეები. ის კი ამ დროს, როგორც ხვატით გულგამშრალი მიწა ნამს, მშველელს, მზრუნველ ხელს საპიროებდა.

როგორ, განა ბუნების ნაბოძარ და მამა-პაპათა მიერ აქამდე ასე რუდუნებით მოტანილ ამ ფასდაუდებელ სიმდიდრეს პატრონი არ ჰყავდა სვანეთში? ეს კითხვა ბუნებრივად დაებადება ყველა ამ ამბის მსმენელს თუ წამკითხავს.

ჰყავდა, როგორ არ ჰყავდა, თანაც არა ერთი და ორი! მაგრამ საქმე ის არის, რას შვრებოდა ეს პატრონი, როცა მსახვრალი ხელი ტყეს უმოწყალოდ ჩეხდა. რას შვრებოდნენ და, ხელს უწყობდნენ იმას, რომ რაც შეიძლება მეტი ხე მოჭრილიყო ხაიშის ტყეში. სამისო გზები და საშუალებები იმდენი გამოინახა, რომ ფანტაზიის უნარმოკლებულ კაცს მათი არამცთუ მოფიქრება, აღქმაც კი გაუჭირდება. მაგალითისათვის: შარშან თუ შარშანწინ, თუ უფრო ადრე — ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს — რომელიღაც ნომრით ზედნადები გაიცა (არც ნომერს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა), რის საფუძველზეც მეზობელ რაიონში გარკვეული რაოდენობის ხე-ტყე გავიდა. გავა ცოტა ხანი, და... ზედნადებში თარიღის გადასწორების მეტი არაფერია საჭირო იმისათვის, რომ იგივე საბუთით მეორედ, ხშირად მესამედ და მეოთხედაც გაიტანო მასალა ტყიდან (აი, რა არის მთავარი). წალენჯიხის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ 1978 წელს გაცემული ზედნადებებით, თითოეულით რამდენჯერმე გაიტანა ხე-ტყე. ასევე მოქცეულან ზუგდიდის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამმართველო, ზუგდიდის სარაიონთაშორისო სამშენებლო-სარემონტო სამმართველო, ენგურჰესის მუშათა მომსახურების კომბინატი...

ხერგილის სახელი კი ამ დროს სახელად რჩებოდა. ხოლო მის ფუნქციას რაც შეეხება, ეს არც მის მუშაკებს ახსოვდათ და არც ხელმძღვანელებს, ერთი სიტყვით, ყველა აკეთებდა იმას, რაც და როგორც პირადად გაეხარდებოდა, და არა იმას, რაც ევალებოდათ. თუმცაღა სატყეო მეურნეობის დირექტორის ბრძანების მიხედვით ხერგილის მორიგეებმა ყოველ ათ დღეში დირექციას უნდა წარუდგინონ ანგარიში გატანილი ხე-ტყის რაოდენობის თაობაზე. ეს ბრძანებაც ისევე სრულდებოდა მეურნეობებში, როგორც ბრძანებების აბსოლუტური უმეტესობა: შარშან ხერგილის მორიგემ ჟ. ჩხაპელიამ პირველი ანგარიში 23 სექტემბერს წარუდგინა დირექციას, მეორე მორიგემ ლ. ჭკადუამ — 1 ოქტომბერს. სურათი არც წელს შეცვლილა არსებითად.

ეტყობა, რესპუბლიკაში კადრების სწორად შერჩევასა და განაწილებაზე ამ ბოლო ხანს განსაკუთრებულად გამახვილებული ყურადღება მესტიელებმა არაფრად არ ჩააგდეს, თორემ განა ხერგილს, სადაც ყველაზე წმინდა და პატიოსანი კაცია საჭირო, ნასამართლევ პიროვნებას ჩააბარებდნენ?

პარადოქსად მოჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ ხაიშში გამეფებულ ქაოსს მშვენივრად ხედავდა ყველა მუშაკი. ამის დასტურად თუგინდ მეურნეობის მთავარი მეტყევის ბ. დევდარიანის მოხსენებითი ბარათები გამოდგება, რომლებსაც იგი დირექტორის — გ. ცინდელიანის სახელზე წერდა. იგი მშვენივრად ხედავს და ასევე აყალიბებს ყველა დარღვევას, ნაკლს და ხარვეზს, რომლებიც მათი მეურნეობის საქმიანობაში არსებობ და. მაგრამ აქვე უსვამს წერტილს მოხსენებითი ბარათებსაც და საკუთარ საქმიანობასაც. ხოლო, თუ ვინ უნდა იბრძოლოს ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად, ბ. დევდარიანი აღარ ასახელებს.

თავის მხრივ, არც გ. ცინდელიანს დაუტოვებია უყურადღებოდ მოადგილის შენიშნული ფაქტები — ბრძანებები დაუწერია. ხოლო ბრძანებების შესრულების როგორი პრაქტიკა აქვთ მეურნეობაში, ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

მუშაობის ერთხელ არჩეულ სტილს არ ღალატობს უკანონო ჭრის აღმოჩენის მიზნით მოწყობილი შემოწმებაც, რომელმაც 29 კუბური მეტრი უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე აღმოაჩინა. შემოწმების ხარისხზე ვერაფერს იტყვი, გარდა იმისა, რომ სულ ცოტა ხანში სამინისტროს სარევიზიო ჯგუფმა 603 კუბურ მეტრამდე გაზარდა ეს ციფრი.

რაიონის ხელმძღვანელობაც, იმის ნაცვლად, რომ წინააღდგომოდა ამ უკვე ჩვეულებრიობის ფორმამიცემულ მანკიერებას, ერთგვარი ხელშემწყობის როლშიც კი გამოდიოდა. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი სატყეო მეურნეობას არც თუ იშვიათად უგზავნიდა მეზობელი რაიონების სხვადასხვა ორგანიზაციის განცხადებებს მუდამ ერთნაირი რეზოლუციით — „განიხილეთ და უპასუხეთ“. და პასუხიც — რატომღაც ასე დამკვიდრდა — ყოველთვის დადებითი იყო. როგორც ჩანს, ყველა ძალზე ხელგაშლილი და უხვია ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, მაგრამ არა საკუთარი ჯიბის ხარჯზე, რასაკვირველია. ამ დროს კი რესპუბლიკაში ასე მკაცრად დგას ტყეების მოვლა-შენახვის, თითოეული ძირი ხის გაფრთხილების საკითხი.

ხე-ტყის მარტო გაცემას ვინ ჩივის, მისი დამზადება იმ ორგანიზაციებს ჰქონდათ მინდობილი, რომლებსაც უნდა წაეღოთ იგი. ისინი კი შედიოდნენ ტყეში და ამზადებდნენ არა იმდენს, რამდენიც საბუთით იყო გათვალისწინებული, არამედ იმდენს, რამდენის წაღებასაც შეძლებდა მათი ტექნიკა — მანქანა თუ ტრაქტორი.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთ დღეს სამსახურში მისულ ზუბერის სატყეოს უფროსს ზ. კვანჭიანს დამამზადებლებმა — ხობის რაიონის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის სამმართველოს მუშაკებმა „სიურპრიზი“ დაახვედრეს — უკანონოდ მოჭრილი 63 კუბური მეტრი ხე-ტყე. ხობელები ამისათვის კი დააჯარიმეს, მაგრამ ჯარიმა განა გაზრდის მოჭრილ ხეს?!

ერთი შეხედვით, ისე გამოდის, თითქოს ხაიშის სატყეო მეურნეობაში კაცმა არ იცოდეს თავისი მოვალეობა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში ყველამ მშვენივრად რომ იცის, რას და როგორ უნდა აკეთებდნენ, ეს გამოჩნდა სამინისტროს მიერ მათი შემოწმების შემდეგ, როდესაც დაინახეს, რომ საქმე, მეტად გამწვავდა და არავის არაფერს აპატიებდნენ, დაფაცურდნენ — 1500 მანეთი მაშინვე ამოიღეს, ერთი ამდენიც ამოსაღებია, უკანონო ტყის მჭრელებიც უმალ აღმოაჩინეს, და გაზიდული მასალის დიდი ნაწილი უკან დააბრუნებინეს. ერთი სიტყვით, მოწადინებამ კარგად გამოაჩინა მათი უნარი, და არცთუ ურიგო უნარი.

მამათა უპირველეს ვალად ტყის შენახვას რაცხს ხალხი. თვალისჩინვით რომ არ გაფრთხილებოდნენ ჩვენი მამანი ამ სიმდიდრეს, განა გვექნებოდა დღეს ასეთი მდიდარი ტყეები „უთვალავის ფერითა“. სვანთა იმ ტრადიციებს კი, მათი უპირველესი სიმდიდრის გაფრთხილებას და მოვლას რომ გულისხმობს, ღირსეული გამგრძელებელი ვერ აღმოაჩნდა. არადა, რა იქნებოდა სვანეთი უამტყეებოდ, უწყაროებოდ, უამთებოდ! ხომ დაკარგავდა იმას, რითაც დღეს იგი ასე მდიდარი, ასე ამაყი, საინტერესო და ეგზოტიკურია.

ამიტომ იყვნენ კოლეგიაზე ხაიშის სატყეო მეურნეობის მუშაკთა მიმართ ასე მკაცრნი: დირექტორი გ. ცინდელიანი და მთავარი მეტყევე ბ. დევდარიანი გაათავისუფლეს თანამდებობებიდან. საქმე განსახილველად პროკურატურის ორგანოებს გადაეცა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი უფრო მეტ ნათელს მოჰფენს წლების განმავლობაში აქ ჩადენილ სხვადასხვა ჯურის მაქინაციებს, მიიღებს, როგორც იტყვიან ხოლმე, „კეისრისას კეისარი“. და საერთოდ სამინისტრო, როგორც კოლეგიაზე აღნიშნეს, არ შეცვლის პოზიციას, არ შეასუსტებს ბრძოლას, შეურიგებლობის სულისკვეთებას, რომელიც ამჟამად გააჩნია, არ იქნება შემწყნარებელი არც ერთი მსგავსი ფაქტის მიმართ, რადგანაც უკანდასახევი გზა აღარ არსებობს, — ჩვენს მოსავლელს სხვა არავინ მოუვლის.

სასჯელი თვითმიზანი არასდროს არ ყოფილა. ძირითადად, მისი დანიშნულება მაინც ის არის, რომ დანაშაული აღარ განმეორდეს. ამიტომ ხაიშის სატყეო მეურნეობის ახალი ხელმძღვანელობა ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს და სათანადო დასკვნები გამოიტანოს უკვე მომხდარიდან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რასაც კოლეგიაზე მკვეთრად გაესვა ხაზი — ტყეს ერთი პატრონი უნდა ჰყავდეს — ტყის სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ტყეში ყოველგვარ საქმიანობას თვითონ უხელმძღვანელებენ, თვითონვე შეათანხმებენ ხე-ტყის ჭრას, მის გაცემას სათანადო ორგანიზაციებისა თუ კერძო პირებისათვის და სხვ. უმკაცრესი კონტროლი უნდა დაწესდეს იმისადმი, რომ არც ერთი დამამზადებელი თვითონ არ შევიდეს ტყეში ხე-ტყის დამზადების მიზნით. ერთი სიტყვით, ხალხის დოვლათი მისდა საკადრისად უნდა დავიცვათ, უნდა მოვუფრთხილდეთ, რომ შვილებმა არ გვისაყვედურონ, მომავალმა არ გაგვკიცხოს, ცივი წყარონი რომ არ დაგვიშრეს, ყანები რომ არ მოგვიჭამოს კალიამ — ეს ჩვენი ვალია.

გ. ხარებაშვილი.

## ამაგდარი მეცნიერი



### აკადემიკოს ლევან ყანჩაველის დაბადების მე-80 წლისთავის გამო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს ლევან ყანჩაველს დაბადების მე-80 და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 55-ე წელი შეუსრულდა.

ლ. ყანჩაველი დაიბადა 1900 წლის 21 აგვისტოს ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდში, ფოსტის მოხელის ოჯახში. სწავლობდა თბილისის პირველ საშუალო სასწავლებელში (ყოფილი ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია). 1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი საბუნებისმეტყველო განხრით.

მუშაობა ჯერ კიდევ სტუდენტმა დაიწყო სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრაზე პრეპარატორად.

1925 წელს ლ. ყანჩაველი მუშაობას იწყებს თბილისის ბოტანიკური ბაღის მიკოლოგიის და ფიტოპათოლოგიის ლაბორატორიაში გამოჩენილი მეცნიერის, პროფესორ ბ. ნაგორნის ხელმძღვანელობით. ამ ლაბორატორიის ბაზაზე ჩამოყალიბდა ჯერ ფიტოპათოლოგიის ცენტრალური სადგური, შემდეგ კი მცენარეთა დაცვის კვლევითი ინსტიტუტი. აქ მან განვლო ყველა საფეხური პრეპარატორიდან მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორობამდე, რომელსაც 47 წელი უხელმძღვანელა.

ინსტიტუტის მუშაობა ლევან ყანჩაველმა მჭიდროდ დაუკავშირა წარმოებას: ინსტიტუტში შეისწავლიდნენ და წყვეტდნენ ისეთ საკითხებს, რომლებიც უშუალოდ წარმოებასთან იყო დაკავშირებული. ასეთი საკითხების რიგს მიეკუთვნება მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების — ვაზის, ციტრუსების, ხეხილის, მარცვლოვანების, ბოსტნისა და მინდვრის სხვა კულტურების მავნებლებისა და დაავადებების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავება.

მცენარეთა დაცვის დარგში არც ერთი საჭირბოროტო საკითხი არ გადაწყვეტილა, რომ ლევან ყანჩაველსა და მისი ინსტიტუტის კოლექტივს არ მიეღოთ აქტიური მონაწილეობა.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ლ. ყანჩაველს, როგორც მეცნიერს, სოფლის მეურნეობის კულტურების დაავადებათა შესწავლაში. მან გამოაქვეყნა 100-ზე მეტი ნაშრომი, რომლებიც შეეხება ბატატის იავანურ დაავადებას, რქოსანი საქონლის ტოქსიკოზის — ბანდალას გამომწვევი სოკოს კლავიცეპს პასპალის შესწავლას; ლიმონების ხმელას — მალსეკოს, ციტრუსების ფიტოფთოროზს, გვირანის მეჭეჭიანობას — სკებს და სხვა, რომელთა შესწავლის საფუძველზე მიღებულია მრავალი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის დასკვნები.

მის ნაშრომებში ფართოდ არის წარმოდგენილი საქართველოს კულტურულ და ველურ მცენარეთა მიკოფლორის სახეობრივი შედგენილობა. აღწერილია მეცნიერებისათვის და საქართველოს მიკოფლორისათვის ახალი გვარები და სახეობები, მოცემულია მეტად მდიდარი მასალა ხევსურეთის, ქლუხორის, სვანეთის, ოსეთის მიკოფლორის შედგენილობის შესახებ.

ლ. ყანჩაველის ხელმძღვანელობით დამუშავებული და წარმოებაში დანერგილია სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ტყის ავადმყოფობა-მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემები. იგი 1946 წლიდან კითხულობს უმდაბლეს მცენარეთა და ფიტოპათოლოგიის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტსა და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში.

აკადემიკოს ლ. ყანჩაველის უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა მცენარეთა დაცვის დარგის მრავალი მეცნიერი მუშაკი, რომლებიც მოღვაწეობენ არა მარტო საქართველოში, არამედ მოძმე რესპუბლიკებსა და უცხოეთშიც. იგი, როგორც მეცნიერი-სპეციალისტი, არაერთხელ ყოფილა მივლინებით საზღვარგარეთის ქვეყნებში — იაპონიაში, იტალიაში.

დიდია ლევან ყანჩაველის ღვაწლი ფიტოპათოლოგიის სახელმძღვანელოების შექმნაში. 1931 წელს ქართულ ენაზე პირველად შეადგინა და გამოსცა სახელმძღვანელო „ფიტოპათოლოგია“. ხოლო 1942-45 წლებში სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ტყის ჯიშების ავადმყოფობათა ორტომეული. 1978 წელს გამოიცა წიგნი „ზოგადი ფიტოპათოლოგია“, რომლის მეორე ტომი — ფიტოპათოლოგიის სპეციალური ნაწილი ამჟამად იბეჭდება. ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო ნიადაგ სახმარი წიგნია აგრონომებისა და ყველა იმათთვის, ვინც სოფლის მეურნეობის დარგში მუშაობს.

ლ. ყანჩაველის მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ და მთავრობამ. იგი დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით, იგი ოთხჯერ იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1964-68 წლებში იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

იუბილარი თავის მე-80 წლისთავს ჯერ კიდევ ენერგიით აღსავსე ხვდება, აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მისი კომპეტენტური რჩევა ფასდაუდებელია სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისათვის.

თ. წაქაძე,
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თეატრი: გასტროლები და შთაბეჭდილებები

# ბედის ნამსხვრევებზე ამაღლებული იმედი

**დედაქალაქში** საგასტროლოდ ჩამოსულმა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა დ. კლდიაშვილის პიესები „დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“ საერთო სათაურით „სურათები იმერეთის ცხოვრებიდან“.

ერთი რამ არის ნიშანდობლივი: რაც დრო გადის, დ. კლდიაშვილის შემოქმედება ძველ ღვინოსავით მეტ სიმაგრეს, სურნელებას და სიწმინდე-ელვარებას იძენს, თანდათან მეტ ადგილს იჭერს ქართულ სცენაზე, საზღვარგარეთაც მიაბიჯებს. ეს ბუნებრივია. ასე არღვევს ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი დრო-ჟამის საზღვრებს და გეოგრაფიული გარემოს მიჯნებსაც.

ამჟამად თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე გვაქვს დავით კლდიაშვილის თეატრი, უაღრესად თანამედროვე, სიცოცხლისუნარიანი, ცხოველმყოფელი. ამ ამბავში კი ერთ-ერთი თვალსაჩინო ღვაწლი ქუთაისის თეატრსაც მიუძღვის, კერძოდ, მის ახლანდელ მესვეურსაც, ნიჭიერ რეჟისორსა და მსახიობს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გოგი ქავთარაძეს.

გ. ქავთარაძეს უყვარს ქართული მწერლობა, უყვარს თეატრში ძიება და ამ გზაზე ხშირადაც იმარჯვებს. ამის დასტურია მისი ხელდასმული წარმოდგენაც — „სურათები იმერეთის ცხოვრებიდან“ (აქვე შევნიშნავ, რომ იქნებ ჯობდა, სხვა სახელი შეგვერჩია, რამეთუ აქ წარმოჩენილი ამბები, მართალია, იმერეთის მიწა-წყალზე ტრიალებს, ნაწარმოების სწორი გააზრების წყალობით, იმდენად ეხმიანება ზოგადადამიანურ თანამედროვე ტკივილებს, ძველიმერული ტანსაცმლის გარდა ეთნოგრაფიული თითქმის არაფერია). ამ სამყაროში ადამიანის ბედსა და მის ჭირ-ვარამზეა წუხილი, და არა მარტო საქართველოს ერთი კუთხის ხალხზე, ამიტომაც არ გვეხამუშება ის მელოდიური, ნაღვლიანი მუსიკა უცხოური კინოფილმებიდან (შერჩეული ო. ბრეგაძის მიერ), წარმოდგენას თავიდან ბოლომდე რომ გასდევს და უფრო ღრმად გვახედებს ადამიანის სულში, თანაგრძნობით განგვაწყობს იმისადმი, რაც ჩვენ თვალწინ ხდება.

არც სპექტაკლის მხატვრული გაფორმება გვესახება ეთნოგრაფიულად (მხატვარი — ჯ. ფაჩუაშვილი), თუმცა ფაცხის რუხ კედელზე ბლომად კიაფობს წითელი წიწაკის და ნივრის გალები, ხოლო სცენის სიღრმეში ხრიოკ მთაზე მიმავალი ვიწრო ბილიკები ჩანს. აქ წიწაკაც და ნიორიც მხოლოდ ფერისთვის როდი ჰკიდია, ეს იმ სიმწარის სიმბოლოც არის, ადამიანებს წუთისოფელი რომ აგემებს ხოლმე, მაგრამ... ვერ გატეხავს, ვერ დააძაბუნებს, ვერც გააბოროტებს, ზოგჯერ წამლადაც წაადგება. იმ აღმა-დაღმა, ვიწრო და დახვეული ბილიკებით შემოდიან და გადიან ადამიანები. ესეც წუთისოფლის ოღროჩოღრო გზაა — ხან ზევით რომ მიდის, ხანაც დაბლა ეშვება. ამ გზაზე მიაბიჯებენ ადამიანები ფოთოლცვენისას, ალბათ, ქარსა და წვიმაშიც, მიაბიჯებენ ბევრი ტანჯვა-წამების გადამტანნი, მაგრამ მაინც ბოლომდე გულგაუტეხელნი და რაღაცის მოიმედენი.

ერთი რამ უმალვე გეცემათ თვალში, ბევრი რამ ორივე პიესაში ახლებური რეჟისორ-მსახიობური მიდგომით არის გააზრებული და სცენურად ხორცშესხმული, განსაკუთრებით „დარისპანის გასაჭირში“. აქ ჩვენ ვნახეთ სულ სხვა კაროჟანა და სულ სხვა ნატალია, ვიდრე ისინი წინათ გვყავდა წარმოდგენილი.

წინათ კაროჟანა გამოჰყავდათ უფხო, დაბდურა, ულამაზო, უშნო და მოუქნელ გოგოდ, ბუნებას რომ დაუჩაგრავს. ქუთაისელთა კაროჟანა (მსახიობი ნ. ნავროზაშვილი) პირიქით, ბუნებას ყოველგვარი სიკეთით შეუმკია — თვალტანადობით, სიწმინდით, კდემამოსილებით, მაგრამ დუხჭირი ცხოვრების უკუღმართობას ისე დაუჩაგრავს, იძულებულია მამას თოკჩაბმული ბრჭოლასავით ფეხდაფეხ სდიოს და ბედი კარდაკარ ეძებოს, კაროჟანას მშვენიერების პირველაღმომჩენი გ. ქავთარაძე არ გახლავთ, მაგრამ ამ სახეს კი ძალიან აღრმავებს. კაროჟანა და მასთან ერთად ნატალიაც (მსახიობი დ. ტაბატაძე) ავბედითობას ქედს რომ არ უხრიან, პროტესტს რომ უცხადებენ შინაგანი, სულიერი ბრძოლით, ქალურ-ღირსება-სიამაყეს რომ არასოდეს კარგავენ, ეს მხოლოდ გ. ქავთარაძის რეჟისორული მიგნებაა, ბედნიერი აღმოჩენა.

გასათხოვარ ქალიშვილთა ამ პროტესტმა სხვა კეთილშობილური თვისებებიც გააღვიძა მათ სულში. თუ ტრადიციულად ისინი ერთმანეთს მეტოქეობდნენ საქმროს დასაპატრონებლად, ამჟამად ერთი ჭირ-ვარამის მოზიარედ გვევლინებიან, მოკავშირეობენ, ბედუკუღმართობას ერთად ებრძვიან, ერთმანეთს მტრულად კი არ უბღვერენ, თანაუგრძნობენ გულითადად. მათი ეს ხასიათი სრულიად ახლებურად, თანაც ღრმად არის გააზრებულ-გადაწყვეტილი. თუ ადრინდელ, ტრადიციულ კაროჟანას თავისი უხეირობით, დაბნეულობით თუ მორცხვობით ბორკილდადებულს ხელიდან უვარდებოდა ფინჯანი, ამჟამად განგებ ანარცხებს ძირს, პროტესტის ნიშნად და ამსხვრევს. მაგრამ მისი ეს მარცხი ნატალიას სულაც არ აზარებს, პირიქით, ისე ანაღვლიანებს, თითქოს ფინჯანი, და მასთან ერთად ბედიც, თვითონ დამსხვრეოდეს. ამიტომაც უსიტყვოდ ანუგეშებს და თანაუგრძნობს განდგომილ კაროჟანას. როცა ამ სცენას უყურებთ, შეუძლებელია ყელში გორგალი არ მოგადგეთ, ცრემლი არ მოგერიოთ და იმ ცრემლმა სულში ადამიანის სიყვარულის დიდი გრძნობა არ გაგინათოთ.

კაროჟანას თანაგრძნობისა და ბედუკუღმართობის პროტესტის ნიშნად ნატალიაც ამსხვრევს შემდეგ თეფშებს და, ბოლოს, სცენის მთელი მოედანი იმ ნამსხვრევებითაა მოფენილი. ეს ადამიანის ბედის ნამსხვრევებადაც იკითხება და... თავისებურ ბრძოლის ველადაც, ზედ უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში დაღუპულნი რომ წვანან. თუმცა ორივე გოგო ამ ბრძოლის ველს ნაღვლიანად ეთხოვება, ისინი საბოლოოდ მაინც გამარჯვებულნი რჩებიან, თავიანთი ბედის ნამსხვრევებზე ამაღლებული იმედით მიდიან წინ, ახალ გზაზე. მთავარი ის არის, რომ რა ყოფაშიც უნდა ჩავარდნენ კაროჟანა და ნატალია, ისინი თავს არ იმცირებენ, არ კარგავენ ადამიანურ ღირსებას, რითაც იზომება ყველა ძეხორციელის სიკარგე. სწორედ ეს ნიშნავს ბევრ რამეს და უპირველესად ადამიანის გამარჯვებას.

ვიდრე ამ ფინალს ვნახავდეთ, მაყურებელი ტრადიციულად მოელის ორი გოგოს მეტოქეობრივ ცეკვას, რომელიც უკეთ მოაწონებს ოსიკოს თავის თავს, მაგრამ... აქაც სხვა მიზანსცენას ხედავს. გოგოები არც ცეკვავენ, არც უკრავენ, გახევებულნი უთვალთვალებენ, რა თავგამოდებით ცეკვავენ და მხიარულობენ მათი „გასაღების“ მსურველნი, რომ საპატარძლო გოგოები აიყოლიონ. ვერ აიყოლიეს. გაიმარჯვა ადამიანის დამთრგუნველი უკუღმართობის წინააღმდეგ ამხედრებულმა პროტესტანტულმა სულმა.

კაროჟანა ზედაც არ უყურებს ძვირფასი მზითვის მაძიებელ გაქსუებულ ოსიკოს, არც სხვა რაიმეთი აწონებს თავს, პირიქით, ცდილობს, ხელმარცხიან, მოუქნელ გოგოდ მოეჩვენოს. ეს შინაგანი პროტესტი თითქოს ქვეშეცნეული, გულთმისნური, წინასწარმჭვრეტელური გრძნობაა: ასეთი კაცის ცოლობას გაუთხოვრობა გერჩიოსო, ამგვარი სულმდაბალი ადამიანის ხელში ბედნიერი ვერასოდეს იქნებიო.

მხოლოდ ას ორმოცამდე სიტყვა აქვთ მთელ პიესაში სათქმელი კაროჟანას, ნატალიას და ოსიკოს, წარმოდგენაში იქნებ ამდენიც აღარ დარჩა, მაგრამ სამივე სახე სრულყოფილად იხატება, რადგან მდიდარია ქვეტექსტებით და მოქმედებით, რომელსაც დიდი ილია სულისძვრას ეძახდა. ოსიკო (მსახიობი ა. ნიკოლაიშვილი) მუნჯივით არის, აკვიატებულად მხოლოდ ერთსა და იმავეს კითხულობს — აქვს რამეო? ამით აბსოლუტურად ამჟღავნებს თავის სულიერ ავლადიდებას. იგი მხოლოდ სიმდიდრის ხარბია. ოსიკო ადამიანში ადამიანს კი არ ეძებს, არც მდიდარ და ნათელ სულს, არამედ მხოლოდ ნივთიერ სიმდიდრეს. ამის გადამკიდე, ბედნიერიც ვერასდროს იქნება და ვერც სხვას მიანიჭებს ბედნიერებას.

დ. კლდიაშვილის გმირებს წამისწამად ეცვლებათ სულიერი მდგომარეობა, უმეტეს წილად გაორებულნი არიან და მათი ორპლანიანობის წარმოსახვა დიდ არტისტულ ოსტატობას მოითხოვს. „დარისპანის გასაჭირი“ უაღრესად ანსამბლური სპექტაკლია. აქ ადამიანთა განწყობილების ფერისცვალება, ურთიერთდამოკიდებულებას თამაში ყველა მსახიობმა დამაჯერებლად წარმოგვიდგინა, ზომიერად უხმოდაც. ფრიად მართალი და შთამბეჭდავი სახეები შექმნეს ვ. მეგრელიშვილმა (დარისპანი), ნ. კვეიძემ (მართა), ლ. ვაშაკიძემ (პელაგია), გ. ბერძენმა (ონისიმე).

„ირინეს ბედნიერებაში“ სხვა ამბავი ხდება, მაგრამ ოდნავადაც არ ირღვევა სპექტაკლის მთლიანობა, რადგან იგი აზრობრივად აგრძელებს „დარისპანის გასაჭირს“: მარტოოდენ ქონებისთვის ზრუნვა, სიმდიდრისათვის გამოკიდება კლავს ჭეშმარიტ სიყვარულს, ადამიანი ხშირად ეწირება ამგვარ სიხარბეს. სიმდიდრის ბრჭყვიალით თვალის დაბრმავება არანაკლები ტრაგედიაა, ვიდრე გაუთხოვრობა და ნაცარში კენტად ჩაბერება. რაც ზოგს ბედნიერებად მიაჩნია, უბედურებად შემოუბრუნდება ხოლმე.

აქ ფინალურ სცენაში ეჟვით თავრეტდასხმული ქმარი — აბესალო (მსახიობი გ. ღლეყვა) კლავს ძალდატანებით შერთულ ყოვლად უდანაშაულო ცოლს ირინეს (მსახიობი ნ. ჟორჟოლიანი), მაგრამ ეს პიესა, უპირველეს ყოვლისა, ირინეს მამის ფილიპეს (მსახიობი ე. ბექუაშვილი) ტრაგედია, სწორედ მან აიძულა ქალიშვილი, უსიყვარულოდ გაჰყოლოდა მდიდარ, მაგრამ ფუქსავატ, ჭირვეულ, ამპარტავან და თავკერძა კაცს, ამით დაღუპა კიდეც პირმშო. მართალია, ირინეს ქმარმა ჩასცა ხანჯალი გულში, იგი სასიკვდილოდ მამამ ადრევე გაამზადა და გაიმეტა, ჯერ სიყვარული მოუკლა შვილს, მერე მსხვერპლად მიუგდო გუდაფშუტა აბესალოს — გულქვაობისა და უსიყვარულობის განსახიერებას.

რთული სახეა ფილიპე. ეს არის პატიოსანი ადამიანის შეცდომის ტრაგედია. მსახიობ ე. ბექუაშვილის სასახელოდ უნდა ვთქვა, მან ამ რთულ სახეს არც ერთი ფერი არ დააკლო, დამაჯერებლად გვიჩვენა თავდაპირველად მისი საბედისწერო, თანაც სასაცილო აცუნდრუკება (ამ დროს ამიტომაც გაისმოდა დარბაზში ხშირი სიცილი), შემდეგ კი ჩადენილი დანაშაულის სინანული, შვილის ფაქტიური მკვლელი მამის თავზარდაცემა და გაოგნება.

იქნებ ქუთაითელთა წარმოდგენამ ყველაფრით არ დაგვაკმაყოფილოს, მაგრამ აქ ბევრი რამ ვნახეთ ისეთი, რითაც მუდამ საინტერესოა თეატრი. ბევრი რამ დ. კლდიაშვილის პიესებში ახალი რეჟისორული თვალთახედვით არის წაკითხული და ხორცშესხმული. სასიხარულო ის არის, რომ დამდგმელ-რეჟისორისეული ინტერპრეტაცია როდი ამახინჯებს ან ეწინააღმდეგება მწერლის თვალსაწიერს, თეატრალურ ენაზე ამეტყველებს მას, ახალი სცენური ხატებით ამდიდრებს.

წარმოდგენა თუმცა ადამიანთა ჭირ-ვარამის ამბებს გვიმხელს, ადამიანს როდი გვაძულებს (როგორც ეს მოდად იქცა უცხოელთა შემოქმედებაში), პირიქით, უზომოდ გვაყვარებს ადამიანს თავისი ავ-კარგით, თანაც გვაფიქრებს ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე, წუთისოფლის უკუღმართობაზე და მის წინააღმდეგ საბრძოლველადაც განგვაწყობს. ეს არის ქუთაისელთა წარმოდგენის მარილი, მადლი და სიკეთე, რომელიც თეატრიდან შინაც მოგყვება.

უსასრულობის გზაზე მიმავალი „დარისპანის გასაჭირის“ გმირები ფინალში ცას ევედრებიან: ღმერთო, კეთილად დააბოლოვე ჩვენი მგზავრობაო! აქ ღმერთი, მე თუ მკითხავენ, მარტოოდენ სიტყვის ბარაქადაა მოხმობილი. მათ და მათთან ერთად წარმოდგენის მონაწილეებმაც რეჟისორთან ურთიერთშეთანხმებით ჩინებულად იციან მთავარი რამ: თუ ადამიანმა ადამიანს არ უშველა და უთანაგრძნო, თუ არ დაეხმარა ხოლმე თუნდაც ნუგეშიანი სიტყვით, ვერავითარი ზეციერი ვერ იხსნის უბედურებისაგან. ადამიანთა ჭირვარამის და ბედ-იღბლის თანაზიარობაზე, ურთიერთთანაგრძნობასა და ნუგეშზე დგას ტკბილ-მწარე წუთისოფელი. ამ აზრის ღაღადისია მწერლისა და თეატრის ერთობლივი გამარჯვება.

**აკაკი გეწაძე.**

---

## სამშობლოს ჯილდო — სპორტსმენებს

**როგორც** ვიუწყებოდით, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში მაღალი სპორტული მიღწევებისა და წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1980 წლის 24 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სპორტსმენთა, მწვრთნელთა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა 540 წარმომადგენელი, რომელთა შორის სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს **ვ. სანეევს ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მიენიჭა.**

ახლა გაცნობებთ, რომ ჩვენი რესპუბლიკიდან ამავე ბრძანებულებით **შრომის წითელი დროშის ორდენი** მიენიჭა სპორტის დამსახურებულ ოსტატს **ქეთევან ბაგრატის ასულ ლოსაბერიძეს. საპატიო ნიშნის ორდენი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს **დავით ალექსანდრეს ძე პერტენავას**, საერთაშორისო სპორტის ოსტატს **საიდა კაპანის ასულ გუნბას** და სპორტის დამსახურებულ ოსტატს **შოთა დიმიტრის ძე ხაბარელს, შრომითი დიდების III ხარისხის ორდენი** — სპორტულ ნაკეთობათა ექსპერიმენტული ფაბრიკის გამომჭრელს **ნადეჟდა ზაქარიას ასულ კეკელაშვილს.**

---

## „კომუნისტის“ ფოსტიდან

## მკითხველი გვწერს

**წყალტუბო.** აქ გაიმართა ზონის მუშკორთა და გაზეთ „დროშის“ აქტივისტთა შეკრება. მოხსენება თემაზე „მუშსოფლკორთა რესპუბლიკური შეკრების შედეგები და გაზეთ „დროშის“ ამოცანები“ — წაიკითხა გაზეთ „დროშის“ რედაქტორმა გ. სოფრომაძემ. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს რაიონული გაზეთის აქტივისტებმა და მუშსოფლკორებმა.

შეკრების მონაწილეებმა გამოთქვეს საყურადღებო შენიშვნები. აირჩიეს „დროშის“ მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან მუშაობის საზოგადოებრივი საბჭო.

**ლ. კინწურაშვილი.**

**ჩხოროწყუ.** დღითი დღე კეთილმოწყობილი ხდება რაიონის სოფლები. ახალმა შენობებმა, ლამაზმა ეზო-კარმიდამომ, მოკირწყლულმა შარაგზებმა და მოასფალტებულმა ქუჩებმა სახე უცვალეს ბევრ სოფელს. ახლახან ნაკიეთში კლუბ-კანტორის ახალი შენობა წამოიმართა. მალე ასეთივე შენობას ხარაჩოები ჩამოეხსნება ლესიჭინის რუსთაველის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ხოლო კირცხში — ნაშელუს რვაწლიან სკოლას: ლესიჭინესა და ნაფიჩხოვოში აშენდება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები.

**ბ. გულუა.**

**ცხაკაია.** ნოქალაქევის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა სკოლის ეზოში ცოცხალი კუთხე მოაწყვეს. ისინი ბიოლოგიის მასწავლებლის ხელმძღვანელობით ზრდიან და უვლიან ფუტკრებს, ბოცვრებს, ქათმებსა და მტრედებს.

**გ. ჯიმშელეიშვილი.**

**გორი.** ქალაქის მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: ფიქართა დასახლებაში მშვიდობის მოედანზე გაიხსნა ბამბეულის საწარმოო გაერთიანების საფირმო მაღაზია — „მზიური“. აქ იყიდება ბამბეულის კომბინატის ნაწარმი, ქსოვილები — „მიმოზა“, „მზიური“ და „რიწა“.

**ლ. პაიჭაძე.**

● ●

## დროულად დაეხმარნენ

**ტყიბულის** სამშობიარო სახლში ტყუპი ბიჭების გაჩენამ საფრთხის წინაშე დააყენა დედის — გულიკო კობახიძის სიცოცხლე: იგი სისხლით იცლებოდა. ექიმები უძლურნი აღმოჩნდნენ. ექიმთა მოწოდებას გამოეხმაურნენ მედდა პაშა მოდებაძე, დიასახლისი თამარ ბოჭორიშვილი, მუშა გიორგი ცირეკიძე. მათ ავადმყოფს თავიანთი სისხლი გადაუსხეს და მშობიარე სიკვდილს გადაურჩა. ბედნიერი დედა თავის ბიჭუნებთან ერთად ჯანმრთელად გამოეწერა საავადმყოფოდან. ტყიბულში ყოველდღიურად იზრდება დონორთა რაოდენობა. მათ რიგებშია ორი ათასზე მეტი მოხალისე, რომლებიც ყოველ წუთს მზად არიან თავიანთი სისხლი გაიღონ გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანისათვის. (საქინფორმი).

---

## ლ. გ. არსენიშვილი



გარდაიცვალა საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთი დიდად ნიჭიერი ორგანიზატორი, მგზნებარე კომუნისტი, სოციალისტური შრომის გმირი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს დამსახურებული აგრონომი ლონგინოზ გიორგის ძე **არსენიშვილი.**

ლონგინოზ არსენიშვილი დაიბადა 1909 წელს სოფელ იყალთოში ღარიბი გლეხის ოჯახში. როცა კომუნისტურმა პარტიამ რთულ საშინაო და საგარეო ვითარებაში დაიწყო კოლექტივიზაციის ლენინური გეგმის განხორციელება, ლონგინოზ არსენიშვილმა სრულად გამოავლინა თავისი ერთგულება პარტიის საქმისადმი, პარტიის ლოზუნგების ირგვლივ ხალხის მჭიდროდ დარაზმვის უნარი, უშიშრობა და კომუნისტური სიმტკიცე კლასობრივი მტრის მიმართ და ახალი, ჯერ კიდევ უპრეცედენტო სოციალისტური სოფლის მეურნეობის გაძღოლის ნიჭი.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლ. არსენიშვილი, როგორც მაღალკვალიფიციური სწავლული აგრონომი, მუშაობდა ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, სიღნაღის რაიონის ხირსის საბჭოთა მეურნეობაში, იყო ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი, წინანდლის [illegible] განყოფილების [illegible], იყალთოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, [illegible] სანერგე მეურნეობის დირექტორი.

ომის მრისხანე წლებში ლ. არსენიშვილი ერთ-ერთი გამოჩენილი ოფიცერია, რომლის მებრძოლები თავის სახელოვან მეთაურთან ერთად მამაცურად იბრძვიან ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. 1944 წლის მაისში იგი მძიმედ დაჭრილი, საბრძოლო ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს. და კვლავ შრომის, ბრძოლის, ფიქრის, ძიების წლები...

1948 წელს ლ. არსენიშვილს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება, იგი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით და ოქროს მედლით „ნამგალი და ურო“. როგორც აქტიურ საზოგადო მოღვაწეს, მას არაერთგზის ირჩევენ რაიონული საბჭოს დეპუტატად, 1963 წელს კი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1969 წელს ამაგდარ და ვალმოხდილ ადამიანს საკავშირო მნიშვნელობის პენსია ენიშნება.

პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ იშურებდა ლ. არსენიშვილი თავის ღრმა ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას მშობლიური მხარის სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის. მის რჩევა-დარიგებასა და რეკომენდაციებს გულისყურით ეკიდებოდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები.

ლონგინოზ არსენიშვილი იყო ღირსეული ადამიანი, დიდი ნიჭითა და კაცური თვისებებით დაჯილდოებული. დინჯი, დარბაისელი, პირიანი, შესანიშნავი მოქართულე, თავისებური, შეფარული იუმორით აღსავსე, იგი ტიპური წარმომადგენელი იყო თავისი მხარის და ხალხისა, და აქაც ხალხმაც დააფასა მისი ღვაწლი და ამაგი — სიცოცხლეში სიყვარულითა და აღიარებით, გარდაცვალების შემდეგ — სამარადისო ხსოვნით.

**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი; საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომი; თელავის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი.**

---

FIDE GENS UNA SUMUS

## პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩებზე

## ანგარიში გათანაბრდა

**გაფრინდაშვილ-იოსელიანის** მატჩის მე-10 პარტიაში თეთრი ფიგურები მსოფლიოს ექსჩემპიონს ჰქონდა. გათამაშდა ინგლისური დასაწყისი. დებიუტში გაფრინდაშვილმა პერსპექტიული პოზიცია მიიღო. მას მე-19 სვლაზე შეეძლო პოზიცია გაემარტივებინა და ყაიმისათვის მიეღწია, რაც მატჩში გამარჯვებას მოუტანდა. მაგრამ გაფრინდაშვილი ამ გზას არ დაადგა და შემდგომშიც არადამაჯერებლად თამაშობდა. ამასობაში იოსელიანმა გააქტიურა ფიგურები და არასასიამოვნო მუქარები შეუქმნა თეთრების ბანაკს. მსოფლიოს ექსჩემპიონი იძულებული გახდა ჯერ პაიკი დაეთმო, შემდეგ კი, როცა მძიმე პოზიციაში შევიდა, — პარტიაც.

### მეათე პარტია

### გაფრინდაშვილი — იოსელიანი

ინგლისური დასაწყისი

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 c5 4. g3 cd 5. მ:d4 ლa5+ 6. მc3 კb4 7. ლd3 მe4 8. მb3 ლf5 9. ლe3 მ:c3 10. bc კe7 11. კg2 d6 12. 0-0 0-0 13. კa3 მd7 14. ლd3 ლh5 15. კ:d6 კ:d6 16. ლ:d6 ლ:e2 17. c5 მe5 18. მd4 ლh5 19. ეfe1 მc4 20. ლc7 e5 21. მb3 a5 22. კd5 კe6 23. ეad1 a4 24. მc1 ეad8 25. კf3 ე:d1 26. კ:d1 ლg5 27. კf3 ლd2 28. ეd1 ლ:c3 29. ლ:b7 მd2 30. კe2 h6 31. ლe7 კd5 32. ლd6 მf3+ 33. კ:f3 კ:f3 34. ლd3 ლ:d3 35. ე:d3 e4 36. ეd4 ეc8 37. ე:a4 ეd8 **თეთრები დანებდნენ.**

ამრიგად ანგარიში გათანაბრდა — 5:5. მატჩში გამარჯვებულის გამოსავლინებლად უკვე დაინიშნა დამატებითი 2 პარტია. კვირას, 28 სექტემბერს თეთრებით ითამაშებს გაფრინდაშვილი.

ორი პარტიის საყაიმო ანგარიშით დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება კიდევ ორი დამატებითი პარტია და თუ გამარჯვებული არც ამ შემთხვევაში გამოვლინდა, მაშინ ყველაფერს გადაწყვეტს ის, თუ ვინ მოიგო მეტი შეხვედრა შავი ფიგურებით. იმ შემთხვევაში, თუ ეს მაჩვენებელიც ერთნაირი ექნებათ მეტოქეებს, მაშინ უპირატესობა მიენიჭება მას, ვინც ბოლოს მოიგო შავი ფიგურებით.

**ე. მელიქსეთბეგი.**

---

## სატურნირო ორბიტა

**ფეხბურთი.** ცნობილი პოლონელი სპორტსმენი ვლოძიმეჟ ლიუბანსკი გამოეთხოვა დიდ ფეხბურთს. მის პატივსაცემად პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდებს შორის გამართულ ამხანაგურ მატჩში ლიუბანსკის უკანასკნელად ეცვა ნაკრების მაისური და უკანასკნელი გოლიც გაიტანა.

პოპულარულმა პოლონელმა ფეხბურთელმა თავისი კარიერა ბელგიის „ლოკერენში“ დაასრულა.

**გუშინ** თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ სათადარიგო შემადგენლობის ფეხბურთელთა გუნდების მატჩი. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა. ბურთები გაიტანეს: დ. მეშკოვმა, მ. ქორიძემ და ვ. ჟვანიამ. „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მესხია, მუჯირი, მელიქია, ქორიძე, თავაძე, კორღალიძე, ჯოხაძე, ჟორდანია, ჟვანია, ცავა, მეშკოვი.

**ხელბურთი.** ხვალ მოსკოვში კიევისა და მინსკის არმიელთა შეხვედრით დაიწყება საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალური ტურნირი. ამ გუნდების გარდა, როგორც ცნობილია, აქ მონაწილეობენ თბილისის „ბურევესტნიკისა“ და მოსკოვის „კუნცევოს“ გუნდები, რომლებიც ერთმანეთს ხვალ შეხვდებიან.

მკითხველს შევახსენებთ სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური ტურნირის შეხვედრათა თანამიმდევრობას.

29 სექტემბერს: **კიევის სკა — თბილისის „ბურევესტნიკი“ მინსკის სკა — მოსკოვის „კუნცევო“.**

30 სექტემბერს: **თბილისის „ბურევესტნიკი“ — მინსკის სკა, მოსკოვის „კუნცევო“ — კიევის სკა.**

---

**რედაქტორი**

**გ. ბედინეიშვილი.**

---

## ლამაზი, იოლად საკითხავი

**საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა და მხატვართა კავშირმა გამოაცხადეს ღია რესპუბლიკური კონკურსი ქართული სასტამბო შრიფტის ახალი ნიმუშების შექმნისათვის. კონკურსი ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს.**

კონკურსის მიზანია ლამაზი, იოლად საკითხავი, მხატვრულად სრულყოფილი სტამბური სატექსტო შრიფტების შექმნა გაზეთებისა და ჟურნალებისათვის, მხატვრული ლიტერატურისა და სახელმძღვანელოებისათვის, აგრეთვე სატიტულო შრიფტების დამზადება.

ყველა სატექსტო შრიფტი სიდიდით უნდა აკმაყოფილებდეს პოლიგრაფიული მანქანების ტექნიკურ მოთხოვნებს.

შრიფტების ნახატი უნდა შესრულდეს შავი ფერით თეთრ ფონზე. მკაფიო კონტურებით და დაწებდეს 50X70 სმ სიდიდის მუყაოს პლაკატებზე, სატექსტო შრიფტები დაყვანილი უნდა იყოს 6, 8, 10, 12, 16, ხოლო სატიტულო — 16, 20, 24, 36 და 48 პუნქტამდე.

კონკურსის შედეგებს 1982 წლის დეკემბერში შეაჯამებს ჟიური, რომლის შემადგენლობაში იქნებიან თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, გამომცემლობათა სპეციალისტები, პოლიგრაფისტები და ტექნიკური ექსპერტები.

**სატექსტო შრიფტების კონკურსის გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები: ერთი პირველი — 1500 მანეთი, ორი მეორე — 1000-1000 მანეთი და ორი მესამე — 700-700 მანეთი. სატიტულო შრიფტების კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ხუთი პრემია: ერთი პირველი — 500 მანეთი, ორი მეორე — 300-300 მანეთი და ორი მესამე — 200-200 მანეთი.**

**მასალები კონკურსზე უნდა გამოიგზავნოს არა უგვიანეს 1982 წლის 1 დეკემბრისა მისამართით:** თბილისი, პეკინის ქ. 28, საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტი. (საქინფორმი).

## მედიცინის სახალხო უნივერსიტეტი

**აბაშა.** (საქ. კორ.). მშრომელთა სამედიცინო მომსახურების კიდევ უფრო გაუმჯობესების, მედიცინის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით რაიონის ცენტრალურ საავადმყოფოსთან შეიქმნა მედიცინის სახალხო უნივერსიტეტი. მისი რექტორია მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო დარგში ვ. ცომაია.

---

# მხატვრის დაბრუნება





**ერთ** დროს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კიდით კიდემდე გაფენილი ლაზიკა დღეს მხოლოდ ერთი პატარა სოფლით — სარფით, ანუ მოლენი სარფით წარმოგვიდგება. სარფია ის ერთადერთი, ჩვენთვის გადარჩენილი ნამუსრევი ისტორიის კატაკლიზმებისა, უაღრესად საინტერესო ობიექტს რომ წარმოადგენს მეცნიერთა და მოგზაურთათვის.

მაგრამ იქაც, გაღმა მიწაზეც მუდამ ცოცხლობდა დიდი მონატრება, დიდი სწრაფვა თავისუფლებისაკენ. ორი ადამიანის სახელი უნდა ვახსენოთ ამჯერად, სახალხო საქმისათვის თავდადებული ორი კაცისა, რომელთაგან ერთი ამ ბრძოლის გზამ მთელ პლანეტაზე სახელგანთქმულ პიროვნებად გახადა, მეორემ კი მრავალტანჯული სიცოცხლე მარტოობაში ისე გალია, ერთხელაც არ დასცდენია საყვედური ღმერთისა და კაცის წინაშე.

პირველი ნაზიმ ჰიქმეთია, თურქი ხალხის დიდი შვილი, სახელგანთქმული პოეტი და ერთა ძმობის მომღერალი. მეორე ხასან ჰელიმიში გახლავთ, ჩვენებური, ლაზი. ნაზიმ ჰიქმეთის სახელი დღეს მსოფლიოში მშვიდობისა და თავისუფლების საშურ საქმესთან არის გაიგივებული. სამაგიეროდ, ხასან ჰელიმიში ისევე უცნობია თითქმის ყველასათვის, როგორც მისი შესანიშნავი შემოქმედება, მისი პიროვნება და კაცური საქმეები, ნაზიმთან ერთად რომ უკეთებია ოციანი წლების თურქეთში.

ორთავე „ახალგაზრდა თურქთა მოძრაობის“ მონაწილე იყო. ნაზიმს ფაშის შვილსა და კადეტს, ხელისუფლებმა ბუოსას ციხეში მიუჩინეს ბნელი საკანი ხანგრძლივი დროით. ხასან ჰელიმიში კი, ორთახოფელი მეწაღის შვილი, გამოიქცა უეჭველ სიკვდილს და სწორედ „ქვაომხაზეს“ მოადგა გამთენიისას ნავით.

ეს ამბავი 1931 წლის გაზაფხულზე მოხდა.

ძმასავით მიიღეს სარფელებმა მეზობელი და მოკეთე. საბჭოური ცხოვრების წესს აზიარეს, სამოსახლოც მისცეს და სამყოფელიც. მაგრამ ბევრს მაშინ ჯერ კიდევ არ სჯეროდა მისი. უნდოდ უცქეროდნენ ლტოლვილს. რას იზამ, დრო იყო ასეთი...

ხასან ჰელიმიში 1907 წელს დაბადებულა სოფელ ორთახოფაში, სარფიდან ორიოდე საათის სავალზე. ოჯახის ერთადერთ შვილს მამისაგან მეწაღეობა უსწავლია. აბა რას იფიქრებდა ყმაწვილი ხასანი მაშინ, რომ სწორედ ეს ხელობა იქნებოდა წლების მანძილზე მისი ერთადერთი მარჩენალი.

ჯერ იყო და ბათუმის ტყავის ქარხანაში მუშაობდა ხარაზად. მისი იმდროინდელი ყმაწვილური გატაცება მხატვრული ფოტომოყვარულობა ყოფილა. იმხანად აფხაზეთის ლაზებში მოკეთეები აღმოჩენია და სოხუმში გადასულა. ეს პირველი, ნებაყოფლობითი გადასვლა მეტად მნიშვნელოვანი ამბით დაგვირგვინდა. 1932 წელს განათლების სახალხო კომისარიატმა ლენინგრადში გაგზავნა სასწავლებლად, ეგრეთ წოდებულ ეროვნულ უმცირესობათა ინსტიტუტში.

შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ახლადშექმნილ ფაკულტეტზე მიიწვიეს ხასანი. აკადემიკოსი სერგი ჯიქია იხსენებს: შემთხვევით გავიგე, რომ თურქულის ბრწყინვალე მცოდნე ლაზი ცხოვრობდა სოხუმში, მოწვევა გავუგზავნე და თბილისში ჩამოვიყვანეთ. სამწუხაროდ, ამ ორი ადამიანის დიდი მეგობრობის მიუხედავად, არც სერგი ჯიქიამ იცოდა რაიმე ხასან ჰელიმიშის, როგორც მხატვრის შესახებ.

უნივერსიტეტში მუშაობის წლები ყველაზე ნათელი პერიოდია შემოქმედის ცხოვრებაში. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ აუღია პირველად ხელში ფუნჯი. მაშინდელია ის უამრავი ლექსი და ლაზური ზღაპარიც, მეგობრებს რომ უსახსოვრა მოსაგონრად. მაგრამ დიდხანს არც უნივერსიტეტში გაჩერებულა...

... ასამდე ნახატი დარჩა მის პატარა ოთახში. ერთი ამდენი მეგობრებისა და სტუმრებისათვის უძღვნია. მეწაღის პროფესია ჰქონდა და უზადო მზარეული იყო, ლირიკულ ლექსებს წერდა და პერსპექტივის თეორიას უზიარებელი, შესაშური ბუნებრიობით ქმნიდა მრავალპლანიან ტილოებს. მის სიმღერებს დღესაც მღერიან ლაზები. სარფის სასოფლო გუნდში...

სიკვდილის წინ დაიბარა ხასანმა, სარფში დამმარხეთო, თანაც ისე, ზღვას უცქეროდესო ჩემი საფლავი. აუსრულეს სოფლელებმა ანდერძი — სარფის სასაფლაოზე, ყველაზე ლამაზ ადგილას, ათასწლოვანი ჰყონის, ნამუხარის ძირში ჩაუჩინეს განსასვენებელი. აქედან კარგად მოჩანს მთელი სანაპირო და „ქვაომხაზი“ ჩვენებური ლაზების ადგილის დედა.

...შარშან ბათუმში მხატვარ ლევან ცუცქირიძის პერსონალური გამოფენა გაიხსნა. ამ მოვლენამ დედაქალაქიდან ხელოვნებათმცოდნეები და ლ. ცუცქირიძის ნიჭის თაყვანისმცემლებიც ჩამოიყვანა. სტუმრები სარფში დავპატიჟეთ. მერე, სარფის შემოგარენი რომ მიმოვიხილეთ და ლაზური სტუმართმასპინძლობა ვიგემეთ, წამოსვლისას, სკოლის დირექტორმა ზურაბ ვანლიშმა სასოფლო ბიბლიოთეკაში შეგვიყვანა და ასე ერთბაშად აღმოვჩნდით ხასან ჰელიმიშის საოცარ სამყაროში. პირველ აღტაცებას საქმიანი დაინტერესებაც მოჰყვა და მალე საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ხასან ჰელიმიშის გამოფენა მოეწყო. სულ ახლახან კი ხასან ჰელიმიშის თაყვანისმცემლები ბათუმის საგამოფენო დარბაზში შეიკრიბნენ, სადაც მხატვრის გამოფენა გაიხსნა. ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებლებმა და ქალაქის სტუმრებმა საკადრისი პატივი მიაგეს ჩვენგან უდროოდ წასულ თანამედროვეს, რომლის უპირველესი ცხოვრებისეული მიზანი სიკეთისა და სილამაზის სამსახური იყო.

გარდაცვალებიდან სულ რაღაც სამიოდე წლის შემდეგ აღიარა ასე ერთბაშად ხალხმა ჭეშმარიტი ხელოვანი. ასე დაიწყო მხატვრის ახალი სიცოცხლე.

**ნანა ჯაფარიძე.**



● ●

**სურათებზე:** ხასან ჰელიმიშის ნამუშევრები — „იალქნიანი გემი“ „მიწის ხვნა“ და „ლაზი მონადირეები“.

---

## ტელევიზია

### 27 სექტემბერი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დოკუმენტური ფილმი „ლევ ტოლსტოი — ჩვენი თანამედროვე“, 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფ.), 11.00 — „ზარათები სამტრედიიდან“ — განმეორებით (ფ.), 11.40 — მხატვრული ფილმი „გოგონები“, 13.10 — „ვერნისაჟი“ (ფ.), 13.40 — „ხალხური სიმღერის ოსტატები“ — ა. სარაჯიშვილი (ფ.), 14.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნელმავალი“, 14.45 — კონცერტი, 15.15 — „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“, 15.40 — მულტიპლიკაციური ფილმები, 16.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — „სკკპ 26-ე ყრილობის შესახვედრად“ — „კომუნისტები“, 17.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „შაბათ საღამოს“. ლირიკული სიმღერები (ფ.), 18.00 — „ვაჰმე, ტკბილო სიცოცხლეო“. დ. გურამიშვილი (ფ.), 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო“ — მოსკოვის „ლოკომოტივი“. ტრანსლაცია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან (ფ.), — შესვენების დროს კინონარკვევი, 20.45 — „მოამბე“ (ფ.). 21.15 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე „ერევნის „არარატი“ — მოსკოვის „სპარტაკი“. მეორე ტაიმი (გადაცემა ერევნიდან), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „კომედიის საღამო“.

**მეორე პროგრამით:** 21.05 — კინონარკვევი, 21.25 — „ჩვენი პრესკონფერენცია“, 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „მწვერვალი“ (ფ.).

## თეატრი

### 27 სექტემბერი

აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის—ლამანჩელი; მეტეხის თეატრი (თეატრალურ კარავში. კომუნარების ქვედა ბაღი) — **უბედურება-დიდრო;** მოზარდ მაყურებელთა ქართული — **წითელკანიანთა ბელადი** (დასაწყისი საღამოს 6 ს.).

---

**საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სატყეო, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, საქართველოს ხე-ტყის მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 70 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის ყოფილი მოადგილე, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1939 წლიდან სკკპ წევრი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი**

**გიორგი გაბრიელის ძე ბერძენიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**